

33 (05)

6-32

პროტოკოლის მულტ ქადაგის, შემთხვევა

სამართლებრივი

კონფერენცია

ყოველთვის ვარების უზრუნველყოფის შესახებ.

საქართველოს ს. ს. რესაუგლიძის
ეპისკოპოზიტ, საბჭოს ორგანო.

№ 6 (10)

036060 - 1927 ა.

0 3 0 3 0 6 0

2016-08-27 14:17

55405

P-135422

ს/VI-27 წ. ს.ს.მ.უ.ს. პოლიგრაფტექნიკის 1-ლი სტამპა, პლეხანოვის პრ. № 91
ჰავარიული № 1052 8033 № 988/6871 ტირაჟი 1.000;

მ ი ნ ა ნ ა რ ს ი

I

| | |
|--|----|
| მიხ. კახიანი—ზაქესის მნიშვნელობისათვის | 83 |
| 3. ავაქოვი—ზაქესის გამსნის დღეს | 5 |
| | 7 |

II

მ ა ვ ა რ ი ა რ ა რ ა

| | |
|---|----|
| ა. დევდარიანი—ელექტროქიმიური მრეწველობის პერსპექტივები საქ-ში | 10 |
|---|----|

III

მ ა ვ ა რ ი ა რ ა

| | |
|---|----|
| 6. აბესაძე—ფასების დაკლების კაპანიის შედეგები | 16 |
|---|----|

IV

მ ი ნ ა ნ ა ნ ა ნ ა ნ ა

| | |
|--|----|
| დ. თოფურიძე—საქრედიტო სისტემა და კერძო კაპიტალი | 29 |
| 3. ორჯონიკიძე—საქართველოს ადგილობრივი ბიუჯეტი 1925—26 წ. | 40 |
| 5. ქოიავა—საქ. საფინანსო მეურნეობის ბალანსი | 58 |

V

სასოცელო გაურცხვობა

| | |
|---|----|
| ინჟ. ე. ალშიბაია—ტრაქტორიზაციის საკითხისათვის | 73 |
| არ. რუხაძე—გლეხის მეურნეობის ორგანიზაცია საქ-ში | 84 |

VI

სარედაციო გასაჭერიანო

| | |
|---|--|
| აგრ. გ. ოქროპირიძე—როგორი ტიპის სასწავლებლები გვჭირდება სას-სამ-მეურნეო ცოდნის გასაგრცელებლად | |
|---|--|

VII

მ ი ნ ა ნ ა ნ ა ნ ა ნ ა ნ ა

VIII

მ ი ნ ა ნ ა ნ ა ნ ა ნ ა ნ ა

ზაჰესის მნიუვნელოგისათვის

ზაჰესი დამთავრებულია. ზაჰესი მუშაობს. ზაჰესი უკვე აწედის თბილის თავის დამაბრმავებელ სინათლეს.

და ეს გიგანტური მუშაობა, თბილისის მუშების ინიციატივით დაწყებულია, საქართველოს და ამიერ-კავკასიის მთავრობების და მოსკოვის ძლიერი დახმარებით, დასრულებულია ოთხ წელიწადში.

ეს — უჭირელი გამარჯვებაა მუშების და გლეხებისა, რაღაც ზაჰესი — საჭირო საქართველოს ინდუსტრიალიზაციის ქაკუთხედია და ერთ-ერთი გამომსასვლი სოციალიზმის განხორციელებისა.

ამხ. ლენინი, სწორედ ასე აფასებდა ელექტრიფიკაციის მნიშვნელობას როცა ის სრულიად რუსეთის საბჭოთა. VIII ყრილობაზე ლაპარაკობდა „ჩვენი მეურნეობის ახალ ტეხნიკურ ბაზაზე გადაყვანისათვის, მიუთითებდა „ერთს საშუალებაზე“, ამისათვის — აბობდა ის: „ჩვენი მეურნეობა, მასთან მიწათმოქმედება, უნდა გადაყვანილ იქნეს ახალ ტეხნიკურს ბაზაზე, თანამედროვე მსხვილი წარმოების ტეხნიკურს ბაზაზე. ასეთი ბაზა არის მხოლოდ ელექტრი.“

კომუნიზმი — ეს არის საბჭოთა ხელისუფლება + ელექტრიფიკაცია.

წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენი ქვეყანა დარჩება წერილ — გლეხურ ქვეყანად, და საჭიროა, რომ ეს ნათლად შევიგნოთ...

ჩვენ ეს უკვე შევიგნეთ და საქმე უნდა მივიყენოთ იქამდე, რომ სამეურნეო ბაზა წერილ-გლეხურიდან მსხვილ-მრეწველობითზე გადავიდეს.

მხოლოდ მაშინ როცა ჩვენს ქვეყანაში იქნება განხორციელებული ელექტრიფიკაცია, როცა მრეწველობას, სასფლო მეურნეობას და ტრანსპორტს მიუყენებთ თანამედროვე მსხვილი მრეწველობის ტეხნიკურ ბაზას, მხოლოდ მაშინ გავიმარჯვებთ საბოლოო!

ამხ. ლენინის მიერ ჯერ კიდევ 1920 წლის დეკემბერში, თქმულ ისტორიულს სიტყვებს, უფრო და უფრო დიდი მნიშვნელობა ეძლევათ ეხლა, როდესაც მთელი საბჭოთა ქვეყანა გართულია გაცხოველებული სოციალისტური. მშენებლობით, როდესაც იგი გადავიდა პირდაპირი ინდუსტრიალიზაციის და მეურნეობის ახალ საფუძველზე გადაყვნის პერიოდში.

ამ პირობებში ელექტრიფიკაციას უჭირავს საპატიო აღვილი და ამხ. კუკი-უანოვსკის გამოთქმით იგი არის „მამოძრავებელი და დამთავრებელი დასაწყისი. ჩვენი ქვეყნის საერთო ენერგეტიკის რეკონსტრუქციისა, იგი არის უნაკლო მეორ-დი მისი საერთო შრომისუნარიანობისა“.

აი რატომა რომ ჩვენ ასეთი სიხარულით ავლნიშავთ საქართველოსათვის ისეთს დიდს სამეურნეო-პოლიტიკურს მიღწევას, როგორც არის ზაჰესის აგება.

და პირდაპირ გასაოცარია, სწორედ იღიოტურია ჩვენი მტრების, განსაკუთრებით ნოე ქორდანიას მტკიცება, რომ ზაჰესის აშენება არაფერს არ ნიშნავს. რაღანაც დასავლეთში პიდრო-სადგურები რამდენიც გრძებავს იმდენია, მაგრამ სოციალიზმი კი ჯერ არ არის.

აյ ნოე ქორდანია ჩვეული მენშევიკური გულმავიწყობით ისევ ივიწყებს ერთს მისთვის უსამღვრო პატარა „წვრილმანი“, ეს „წვრილმანი“ პროლეტარიატის დიქტატურა, საბჭოთა ხელისუფლების არსებობა, რომლის დროს ჰიდრო-სადგურების, ახალი ფაბრიკების და ქარხნების აგება, უწყობს ხელს ქვეყნის ინდუსტრიალიზაციას და აადვილებს სოციალიზმი გადასცლას.

აი ამ „წვრილმანის“ დანახვა არ უნდა ნოე უორდანიას. და სწორედ ამიტომ მაც არის ის მენშევიკი. მას ხომ არ უწერია კარგი რამის დანახვა მუშარ-გლეხურს ქვეყანაში, მისი თვალები ყოველივე კარგს მხოლოდ ბურუუაზიულს ქვეყნებში წახულობს.

მაგრამ საბჭოთა საქართველოს მუშები და გლეხები შვეენივრად პხედავენ ამას, მათ შეიგნეს რომ აუცილებელია სოციალისტური მშენებლობის გზებზე მტკიცედ დგომა, და ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის საქმეში მთელი თავისი ძალებით შველა თავისი ხელისუფლებისა.

ეს არის თავდები ჩვენი მტკიცე და საბოლოო გამარჯვებისა.



ჩატასის განხილვა

ვინ თვიქმებდა, რომ ხუთი წლის შინედ ოთხი ათას ტუილისის პროლეტარის მონაწილეობით გამართული კვირეული ისეთ გრანდიოზულ ნაშენებს მოგვცემდა, როგორიცაა ზაჰესი.

რევოლუციონური ენტუზიაზმი მუშათა კლასისა და მისი შეურყეველი ნებისკოდა სამეურნეო ნგრევის დასაძლევად მიმართული იძლეოდა მტკიცე რწმენას ყოველნაირ დაბრკოლებათა დამარცხებისას სოციალისტური მშენებლობის გზაზე.

ფიქრობდენ, რომ არხი და ჰიდროსადგური აჭერდებოდა, შაბათობისა და კვირეულების გზით და რომ ეს ყველაფერი ძირიად არ დაჯდებოდა.

ამ მომენტში კი არავინ პერსიან ბრძნებით იმ სიძნელეებს, რომელიც შემდეგში წამოიკრა აღმშენებლის წინაშე, როცა ლრმად ჩავეშვით მიწისა და კლდების უფსკრულში და ნაღმის შემწეობით გვიხდებოდა თითოელი ადლი მიწის დაპყრობა.

რამდენი მტერი და მოწინააღმდეგე გამოგვიჩნდა, რომელთაც მთელი ფურნტები გაგვიმართეს დაცინვისა, ეკვებისა და უნდობლობისა.

ჯერ კიდევ 1920 წელს ინგლისელი მწერალი უელსი, რომელიც ნგრევის პერიოდში იმყოფებოდა საბჭოთა რუსეთში, ეუბნებოდა ლენინს „თქვენ კარგად უმიზნებთ ცას და პერნი მუშენიერ თცნებებს მომავალი ცხოვრებისათვის მიწაზედ.

მაგრამ სრულიად არ მესმის, როგორ შეგიძლიათ თქვენ, ასეთ პირობებში, ასეთ სიცივესა და სიმშილში, პაშენოთ კოლხოვი“ — ლენინი უპასუხებდა: „უცხოელებისათვის ბერძია გაუგებარი. გაუგებარია მათოვის კოლხოვის ამშენებლობაც, ისევე როგორც გაუგებარია მათოვის ოქტომბრის რევოლუცია“.

მეორე „უცხოელი“ ახალი წარმოშობისა — ნოე უცრდანია მისათვის ჩეული რენეგატობით აცხადებს, რომ ზაჰესი თუმცა კი დასრულებულია, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს რომე მიახლოებას სოციალისტურ აღმშენებლობასთან, რადგანაც, მისი აზრით, კაპიტალისტურ ევროპაშიც მრავალი ჰიდროსადგურები შენდება, მაგრამ იქ არავთარი სოციალიზმი არ არსებობს.

ბურუუაჭიული ფლიუგერი, მწერალი უელსი, რომლისათვისაც უცხო იყო დასაწყისი ქარიშხლიან საბჭოთა აღმშენებლობისა, გაუსწორებელი მენშევიკი ნოე უცრდანია, რომელიც გამსჭვალულია მეტისმეტი სიძულვილით საბჭოთა ხელისუფლებისადმი, და არ უნდა დაინახოს არც ერთი ჩენენ გამარჯვება სამეურნეო ფრონტზე და ბოლოს ადგილობრივი ჯიშის სკეპტიკოსები, „კრიტიკუსები“ და სასწიკი, მტრები მუშათა ღიგტატურისა, რომელნიც საკმარისად გავარჯიშ-

დენ ჭორებში ჩვენზე და კერძოდ ზაჰესის მისამართით, ყველა ესენი ზერელედ და უნდობლობით უყურებენ ჩვენს გიგანტიურს მუშაობას სოციალიზმის აღმშენებლობისათვეის.

მათ არა სჯერათ მიტომ, რომ ავიწყდებათ ჩვენში არსებული პროლეტარიატის დიქტატურა, მათ სრულიად არ იყიან და არ ითვალისწინებენ იმ შემოქმედების, ძალას და იმ უსაზღვრო ჯიუტობას. რომელიც შეუძლია გამოიჩინოს, სოციალისტური მეურნეობის მშენებელმა პროლეტარიატმა კაპიტალისტურ გარემოცვის პირობებში.

მიუხედავად დიდი სიძნელეებისა, რომელიც იდგა ამ გრანდიოზული დაწყობის განხორციელების გზაზე, ზაჰესი მაინც ბრწყინვალედ დამთავრდა.

და დასავლეთ-ევროპის ბურჟუაზიული პრესსა ეცადოს დაღუმებას ამ შევლენაზე ან და დამციროს მისი მნიშვნელობა. ეს სულ ერთია, მუშა გაიგებს ამას, მუშამდე მივა ეს ამბავი.

და იფრდენ ჩვენმა მტრებმა და მეგობრებმაც. რომ დღეიდან საბჭოთა საქართველოში „ქველი“ მტკვარი — ეს საქართველოს წყალთა სადინელი შებოჭვილია სამუდამო სამსახურით წევილისის პროლეტარიატისათვის.

ძლიერი ბეტონის საგუბარით და მძიმე რეინის-ფარებით დავედეს მტკვარი, ალეირი ამოსდეს მის მქეხარებას, სელა შეუშალეს და შეაბეს აღმშენებლობით მუშაობაში.

ვინც ყოფილა ზაჰესში, და იგი დაუთვალიერებია არა ერთს ათეულს ათას კაცს, ის პირველ რეგში და უმთავრესად უურადღებას აქცევს იმ ადგილს, სადაც მტკვრის ვიწრობებში, კლდოვან ნაცირებს შუა წყლიდან ამართულია ზღაპრულად მშენებირი და მძლავრი საგუბარი.

წყალიად მაგრამ დაჯერებულად და ამაყად, როგორც ბუმბერაზი დგას იგი და უზარმაზარ წყალს იქრეს თავისი რეინის მკერდით.

გამაცვიზურებელია საგუბარის შესახედამბა წყალდიდობის დროს, როცა მას ფარებში გაჟელილი ჭარბი წყალი ლრიალით და ზათქით ეხეთქება.

საოცარი სანახავია, საგუბარი და იგი მოელის უდიდეს მსატვარს. რომელმაც უნდა იშვიათი ნიჭით დახატოს ეს სიმბოლო გონებისა და პარმონის გამარჯვებისა ქაოსის სტიქიონზე.

თითქოს ტყვეობიდან განთავისუფლებული, ზაჰესის ბეტონის მკლავებიდან გამოგლეჯილი, ათასი შეკეშული ტალღა ერთმანეთზე დაჯახებული და ერთო მეორისაგან გასრესილი გმინავს, ლრიალებს, ალბად ვერ იტანს აღმიანის ღონიერი ხელით მიყენებულ შეურაცხყოფას.

მაგრამ საგუბარიდან სუთმეტი საექინის მანძილზე ეს ლრიალი ყუჩდება, წყალს ეკარება ღონე და მიდის როგორც უბრალო მდინარე.

ზაჰესის მრავალრიცხვინი მნახველები, მოჯადობულნი დიღხანს უმზერენ ას დიდებულ სურათს. რის შემდეგაც დანარჩენი ნაგებობანი ისეთი დიდს შთა შემდილებას აღარ სტიკებენ.

მაგრამ იქ. არჩევ. საგენარატორ შენობაში თქვენ კიდევ გრძნობთ სხვა წესის სილამაზესა და დიდებას.

მდუმარე არხს, თავიდან ბოლომდე ბეტონით დაჯავშნულს უხმოდ და მდინარებით მიაქვს თავის მკლავებში უზარმაზარი წყალი ოთხი გენერატორის გამოსაკვებად.

ასევე წყნარად, მაგრამ მაყად დგას ოთხი გენერატორი, რომელიც თავისი მოძრაობით იძლევინ 18.000 ცხნის ძალიან ელექტროენერგიას.

აქ საგენერატორო შენობის შიგნით სიჩუმე და სიწყნარეა, თითქმის არავინ სჩანს. არ იმის აღარც წყლის ღრიალი. უზარმაზარი ძალით ის ეცემა ჩაინის მილებში გენერატორის ქვეშ სადლაც იატაკის ქვეშ, სადაც თქვენ სდგეხართ, მუშაობს ჩუმად და უხმაურდევ ვარდება მტკვრის კალაპატოში.

აქ და მეზობლად მდებარე მოწყობილობათა განმანაწილებელ სამუშაოთა შენობაში მოთავსებულია მთლად ურთულესი კლავიატურა ენტრიკის მიღბისა და განაწილებისა.

ვიდრე ზაჟესის დენი მოხვდება ტფილისის ქარხნებში, ქუჩებსა და ბინებზე; მან ძნელი ეტაპი უნდა გაიაროს: აქ არის დაცული სასტიკი ანგარიში და მექანიზმის კველა ნაწილების შორის სწორი შეფარდება.

ორი სამი მომუშავეს, ოთახითან გამოუსულელად, რომელიც ურთულეს ხელსაწყოებზე მუშაობენ, ხელის რასდენიში მოძრაობით შეუძლიათ გაუშვან ან უცბად შეაჩერონ 18.000 გაჭირებული ცხენი.

ამ უზარმაზარმა ენერგიამ უნდა გაანთავისუფლოს ადამიანი მძიმე შრომიდან და შექმნას ათი ათასი ტეხნიკური მომუშავე, სოციალისტური ქვეყნისათვის ნივთიერ ღირებულებათა შესაქმნელად. აი რატომ სთქვა ლენინმა, რომ სოციალიზმი — არის საბჭოთა ხელისუფლება ელექტროფიკაციის მიმატებით.

ლენინის მიერ გადასროლილი დიდი იდეა, რომელმაც გენიალური შორს-მკერეტელობით მეურნეობის აღვევის ბურანში გვიჩვენა ჭეშმარიტი გზა ჩვენი შემდეგი განვითარებისა მაღალ ტეხნიკურ ბაზაზე გადასცვლით, — ეს იდეა კონკრეტულათ ხირიციელდება მთელს კავშირში.

პირველი ძნელი ნაბიჯი გადადგმულია და კარგადაც.

ჩვენ მოვახდინეთ ერთი გარღვევა, რომელმაც გაგვისნა გზა შემდეგი ფართე იერიშებისა ამ ფრონტზე.

ჩვენ დავასრულეთ გრანდიოზული საქმე, რომელიც მრავალი ათეული წელიწადი უნდა იყოს მჩქეფარე წყარო ქმედითი ძალებისა.

ჩვენ მოვიპოვეთ ღირსშესანიშნავი გამარჯვება ადამიანის ნებისყოფისა ბუშების სტიქონინის ძალებზე.

ზაჟესი მზადაა და ის, როგორც სოციალიზმის ერთი, ელემენტთაგანი უკვე შევიდა ჩვენი მეურნეობის რიგებში.

ჩვენი მხურვალე სალამი ზაჟესის მუშაკების, რომელიც სვინდისიერად მუშაობდენ თავის საპასუხისმგებლო საღარაჯოზე.

მართვა-გადასტანი

ალ. დევდარიანი

ელექტროექიმიური მრავალობის პარსკეპტივები საქართველოში

ელექტროექიმიური მრავალობის განვითარება, შესაძლებელია იმ ქვეყანაში, სადაც იშვიერია იაფი ენერგია. ასეთ ენერგიის დღევანდელ პირობებში იძლევა ჰიდრო სადგურები, რომლებიც წყალის ენერგიით სარგებლობენ. თავისათვათ ცხადა, რომ პილოტისადგურების ასაგებათ ხელსაყრელი პირობები მთაბრრიან ქვეყნებში მოიპოვება.

ჩვენი კავშირის ტერიტორიაზე საქართველოში ყველაზე უფრო ხელსაყრელი პირობებია წყლის ენერგიის ელექტრონის ენერგიათ გარდასაქმნელად. ჩვენ ში უხვათ მოიპოვება ენერგიის სხვა წყაროებიც — ტყიბულის და ტყვარჩელის ნაწილი ერთის მხრივ, ახლოს გვაქვს ბაქოს ნავთი (რომელიც შესაძლოა საქართველოშიც აღმოჩნდეს) მეორეს მხრით, მიუხედავათ ამისა წყლის ენერგია უფრო იაფი და ხელსაყრელია. მაგრამ საკითხი მარტო ისე არ დგას, თუ რა ენერგიის წყარო უფრო იაფი და ხელსაყრელია. არსებობს მთელი რიგი მრეწველობის დარგებისა, სადაც ნახშირისა და ნავთის ენერგიი გამო: უსადეგარია, თუ ის ელექტრო ენერგიად არ იქნა გარდაქმნილი. ხელოვნური სასუქები წარმოება და ელექტროლიტური მრეწველობა, ეს თანამედროვე მრეწველობის უმძლავერესი დარგები წყალის ენერგიის გამოყენებაზე არიან დამყარებული. ალაგ-ალაგ, რა თქმა უნდა, ნააშირსაც იყენებენ ამ შიზნისათვის.

იმ მასლებიდან, რომელიც ს. მ. უ. სს აქვს შეკრებილი, სჩანს, რომ საქართველოს მოეპოვება სხვადასხვა სადგურები, რომელთა საერთო სიმძლავრე თერთებტათას ხუთას ცხენის ძალის უდრის. აქედან 6.800 ცხენის ძალა არის ტფრისში — 4.700 კი სხვა აღგილებში. დაახლოვებით ორიათას ცხენის ძალის შეადგენ პატარა ჰიდრო სადგურები.

ამავ შოთავალში დაწყებენ მუშაობას შემდეგი სადგურები:

| | |
|------------------------------|-----------------------|
| ზაქესი (უკვე დაიწყო მუშაობა) | — 18.000 ცხენის ძალა, |
| აბაშის სადგური | 2.500 ” ” |
| აქარის წყალის | 5.000 ” ” |
| შოვის | 135 ” ” |

| | | | |
|-------|-----|---|---|
| ონის | 200 | " | " |
| ხორი | 80 | " | " |
| ხონის | 80 | " | " |

ეს შეადგენს დაახლოვებით ოცდა ექვს ათას ცხენის ძალას, არსებულთან ერთად გვექნება ოცდა ჩეიდმეტ ათას ხუთასი ცხ. ძალა. მაგრამ ზაჰესის ამუშავების შემდეგ თანდათან დაიხურება ტფ. პატარა სადგურები. დაგვრჩება დაახლოვებით 30.700 ცხ. ც.

განზრასულია, როგორც ვიცით, რიონის სადგურის აგება, რომელმაც უნდა მოგვცეს 42.000 ცხ. დ. განზრასულია აგრეთვე სუსტის სადგურის აგება — 1500 ცხ. ც. ალაზანის 5.000 ცხენის დ. და ფარავანის 100.000 ცხენის დ. ყველა ეს სა-ამჟანებლო გეგმები თუ განხორციელდა უახლოეს წლების განმავლობაში, საქართველოს ექნება 150.000 ცხ. ძალ. ენერგია. აქვე უნდა გავისენოთ ის, რომ თუ საკიტოებაში მოისახოვთ. ზაჰესის ენერგიის გაორკეცება შეიძლება. ასე, რომ საკროდ 200.000 ცხ. ძალამდე დაგროვდება.

იბადება საკითხი — როგორ და რა საწარმოო დარგებში უნდა დაიბანდოს ეს დიდი ენერგია. ჯერ-ჯერობით განზრასულია შემდეგი დიდი ქარხების აგება — მაულის ქარხანა ტუილისში, ცემენტის ქარხანა კავთისევში, ქალალდის ქარხანა ჯვარში. მინის ქარხანა, ბარიტის წისკვილი ქუთაისში და სსკა მთელი ჩიგი პატარა ქარხებისა. წარმოებს ამავე დროს მურაობა რკინის გზების ელექტრონის ენერგიაზე გადასაყვანად. მაგრამ ყველა მდ. ქარხებს რკინის გზებთან ერთად არ დასჭირდებათ ერთი მესამედი. იმ ენერგიისა, რაც უნდა მოგვცენ განზრასულმა სადგურებმა. დანარჩენი ენერგიის გამოყენებისათვის უნდა შეიქნეს მრეწველობის ახალი დარგი, რომელიც ჩვენში ჯერ არ არსებობს — ელექტრო ქიმიური გრეწველობა.

ელექტრო ქიმიური მრეწველობის შექმნა უნდა საწარმოებელს წინასწარი დამუშავებული გეგმით. ეს გეგმა მიზანშეწონილი იქნება თუ დამუშავდება პიდან სადგურების გეგმებსთან ერთად. ეს საშუალებას მოგვცემს ელდენის ქსელი. ისე მოწყობის, რომ მიზანშეწონილად იყოს განაწილებული ენერგია.

ელექტრო ქიმიურ მრეწველობას საფუძლად უნდა დაედვას ე. წ. ძირითადი ქიმიური მრეწველობის შექმნა. ძირითად ქიმიურ მრეწველობას ეძახიან მუავების და ტუტების წარმოებას გოგირდი: მარილი და აზოტის მუავი ერთი მხრივ. სოდა ორი სახის მეორეს მხრივ. სამართლიანათ იტყვიან ხოლმე მრეწველობის განვითარება სოდის და გოგირდის წარმოებიდან იწყება. მართლაც შეუძლებელი იქნებოდა ინგლისში, მაგალითად, საფიქრო მრეწველობის განვითარება, რომ მას სოდის და გოგირდის მუავის დიდი მასშტაბით საწარმოო მეთოდები არ გამოუგონებინა.

ახალ ქარხების აგების დროს, იბადება საკითხი სად როგორ უნდა გამოვაქნოთ ხელსაყრელ პირობებში ძირითადი ქიმიური მრეწველობის ნაწარმოები. მაგალითად მაულის ქარხანას სჭირდება სხვადასხვა სახის მეავები, ბარიტის წისკვილს სჭირდება გოგირდის მუავი, ქალალდის ქარხანას ქლორი და სხ. ერთი სიტყვით საერთოდ მრეწველობის განვითარება შეუძლებელია იმ ქვეყანაში, სადაც ძირითადი ქიმიური მრეწველობა არ არსებობს. ამიტომ პირველ ჩიგში უნ-

და დაისვას საკითხი კერძოდ გოგირდის მეუვის და სოდის წარმოების შესახებ. ეს შეუხედავათ იმისა გვაქვს საქართველოში სათანადო ნედლი მასალა თუ არა. თუ არ არის — სხვა ადგილებიდან უნდა შემოვიტანოთ. გოგირდის მეუვის წარმოება ბაინდა მაინც არ არის მჭიდროთ ელექტრონურებისათვის დაკავშირებული. რაც შეეხება სოდის აქ კი ის დიდ სამსახურს გაგვიწევს. კაუსტიური სოდის წარმოება ფლეს ცველგან ელექტროლიტიური საშუალებით ხდება. ჩვეულებრივ საქშელ მარილ ელდენი შლის. ერთ მხარეზე (კატოდისაკენ) მიემგზავრება ნატრიუმი, რომელიც წყალს უერთდება და კაუსტიურ სოდის ხსნარად იქცევა. ქლორი მიემგზავრება მეორე მხარეზე (ანოდისაკენ). ის გაზა. შეიძლება ან ფლანდის ბოთლებში მოვაწყველით, ან კირს შეუერთოთ. უკანასკნელ შემთხვევაში ქლორიდან კირს („ვიკოდეას“) მივიღებთ. კაუსტიური სოდი კერძოთ საჭიროა ნაეთის გასაწმენდად ან საპნის მოსახარშად. რაც ამიერ-კავკასიის ფედერაციას ჯერ-ჯერბით არა ნაკლებ ორასი ათასი ფუთისა წლიურად სჭირდება. ქლორი საჭიროა უმთავრესათ ბამბის და ქალალის მრეწველობაში. მოთხოვნილება ამ ნაწარმოებში იზრდება დღითი დღე სხვა დარგის მრეწველობასთან ერთად. ამ რიგად ჩვენ. ერთსა და იმავე ღრუს მარილის ელექტროლიზის საშუალებით ორ პროცენტს ვლებულობთ. იმ შემთხვევაში თუ სორდა-ქლორის ქარხანას ვივარაუდებთ ისეთი სიღილისას, რომელიც წლიურად ორას ათას ფუთ სოდის და დახსლოვებით ამდენსავე ქლორს მოგვცემს; მას 16-20 მილიონი კილოვატი დასჭირდება წლიურად.

საქართველოში ბლომათ მრგვაცოვება გლაუბერის მარილი. შესაძლოა დაისვას საკითხი, რამდენად მიზანშეწონილი იქნება როგორც სამეურნეო, ისე ტექნიკური თვალსაზრისით ამ წელი მასალიდან გროვირდის მეუვის მიღება ამავე ელექტროლიტურ საშუალებით. ამ საკითხს შესწავლა სჭირდება.

უდიდეს ყურადღება უნდა მიეცეს, რა თქმა უნდა, საქართველოს სამთხმარინო ნედლი მასალის ელექტრო ქმიურ გადამუშავებას. ამ საკითხთა შორის ფერომარგანეცის საკითხი ცოტათ თუ ბევრად შესწავლილია. 60—80 მილიონი კილოვატი, ე. ი. მესამედი იმისა, რასაც რინინის სადგური მოგვცემს მას დასჭირდება. ფერომარგანეცის წარმოებასთან ერთად შეიძლება წამოიჭრას ცერმანგანატის საკითხი. მით უმეტეს, რომ ჭიათურის შავი ქვის მაღანი მდიდარია პიროლიზიტით. დაახლოვებით ათი პროცენტი პიროლიზიტის რაოდენობისა, რაც საერთო ბაზარზე გამოდის პერმანგანატად მუშავდება.

ელდენის ქსელის შესაქმნელათ სპირტი წინდა სპილენძი. რომელსაც მავნე ელემენტები არ ურევა. ასეთი სპილენძის მიღება შეიძლება მხოლოდ ელექტროლიტიური გზით. საქართველოში ჯერ-ჯერბით როგორც სჩანს მარტო დევლორაკში მოიპოვება სპილენძის მაღნის საყურადღებო რაოდენობა. ამ სპილენძის გადამუშავება არის ერთ ერთი უილესი ამოცანათვანი ჩვენი ელექტრო ქიმიური მრეწველობისა. ელექტრო ქიმიის ამ დარგის სიმძლავრე დამოკიდებულია მაღნის სიმძლავრეზე. ყოველი შემთხვევაში შეიძლება ითვეს რომ კილოგრამ ელექტროლიტიურ სალენქს 4-5 კილოვატ სათი დასჭირდება.

ლითონებს შორის მოვისტენიონ კიდევ აღმუშინუმის წარმოება. ამისათვის საჭიროა ე. წ. ბოჭისტი. ეს მაღანი ჯერ-ჯერბით საქართველოში არ აღმოჩენილა. მაგრამ უმასაკრეს ხარჯს აღუმინიუმის წარმოებაში ელექტრონის ენერ-

გი მოიხვევს. კილოგრამი ალუმინიუმი ჯდება ოცდათი კილოვატი. იქ სადაც იაფი ენერგია მოიპოვება შეიძლება შემოტანილი ბოქსიტზედაც მუშაობა. ეკონომიკურ სახელმწიფოებიც ხშირად ასე იქცევიან.

ჩვენში ღირებულებას იწვევს ხელოვნური სასუქის წარმოების საკითხი. როდესაც ამ საკითხე ლაპარაკიაბენ მხედველობაში აქვთ მარტო აზოტი. ეს დიდი შეცდომა არის. აზოტი მარტო არ კმარა. საჭიროა ფოსფორი და სხვა ნივთიერებანი. თუ ნიადაგს მაგალითად ფოსფორი ან კალიუმი აკლია აზოტი სარგებლობას ბევრს ვერ მოუტანს. ამიტომ ჰაერიდან აზოტის მიღებასთან („აზოტის ფიქსაცია“) ერთად უნდა დაფგეს მეორე საკითხი სად და როგორ უნდა მოვიმასრავო ფოსფორი და კალიუმი. კერძოდ აზოტის ჰაერიდან მისაღებად ხელსაყრელია გაბერბოშის სინტეტიური მეთოდი. ეს იმ შემთხვევაში თუ გოგირდის მეავის საკითხი გადაჭრილი იქნება. სხვა გზით ჰაერიდან მიღებული აზოტი ხელოვნურ სასუქად გადამუშავებული უფრო ძირი დაჯდება.

მართალია კალცისანამიღი. რომელის წარმოება განზრახახულია კალაგერანტი შეიძლება გამოყენებულ იქნას არა მარტო ხელოვნურ სასუქათ. ის შეიძლება გადამუშავდეს ამიაკათ და აზოტის მევათ. მაგრამ სხვა გზით მიღებული პროდუქტები უფრო იაფი დაგვიჯდება. გარდა ამისა ციანამიღის წარმოება ხელსაყრელი იქნება იმ შემთხვევაში თუ ქარხანა წლიურად არა ნაკლებ 15-20 ათას ტონა ციანამიღს მოვცემს. თვითეულ ტონას 17-18 ათასი კილოვატ საათი დასკირდება.

ზოგიერთ საკითხის გასათვალისწინებლად შევადაროთ ციანამიღის წარმოება სხვა ჰაერიდან. უშუალოთ აზოტის მიღების მეთოდებს. ციანამიღი არის შეერთება კიბის, ნახშირის და აზოტის. კიბი და ნახშირი ელექტრონის ლუმელებში იძლევა კაბიდის. კაბიდით შემდევ უნდა დაიწვას აზოტის ატმოსფერაში. შემდევ ხელახლათ სპეციალურ ლუმელებში გახურდეს და შიგ წმინდა აზოტი გატარდეს. პლებულობთ კალციუმციანამიღის, რომელიც ჩვეულებრივად 20-21 პროცენტ აზოტი შეიცავს. როგორც წირმოების პროცესი გვიჩვენებს ციანამიღისთვის სამი ქარხანა არის საჭირო — კაბიდის; აზოტის და შემდევ თვით ციანამიღის. იმ შემთხვევაში თუ ციანამიღის გადამუშავება მოვინდომეთ ამიაკით ახალი ქარხანა იქნება საჭირო. ამიაკის აზოტის მეავად გადამუშავებასაც („ამიაკის დაწვა“) ცალკე ქარხანა სჭირდება.

გაბერ-ბოშის სინტეზი რასაკირველია უფრო რთული და ძნელი განსახორციელებელია. სამაგიეროთ ის უშუალოთ იძლევა ამიაკს. ნედლი მასალა — ჰაერი და წყალი ყველგან ბევრია. ელექტროლიტიური ვზიან წყლილან მრღვებული წყალბადი ერთის მხრით, მეავბადიდან გაწმენდილი ჰაერი მეორეს მხრივ (აზოტი) უერთდებან ერთი მეორეს და ქმნინ ამიაკს. ენერგია იძლენი არ არის საჭირო, როგორც მაგალითად ციანამიღისთვის. აპარატურა კი რთულია. არსებობს კადევ აზოტის მეავის ჰაერიდან მიღების მესამე საშუალება. ელექტრონის ლუმელებში გახურებული ჰაერი (3200-3500 გრად-მდე) შეიცავს რამდენიმე პროცენტს აზოტის და მეავბადის შეერთებას. ეს შეერთება წყალთან იძლევა აზოტის მეავს. ეს მეტოდი მოიხვევს აუარებელ ენერგიას. ერთი კილოგრამი აზოტის მეავი დაჯდება 10 კილოვატ საათამდე.

აზოტის შეერთებანი. პირველი მოთხოვნილების საგანს წარმოადგენენ არა მარტო სამრეწველო ქვეყნებისათვის. უმთავრესად ესენი იბარჯებან. ხელოვნური სასუქისათვის. გარდა ამისა თითქმის კველა ასაფეთქებელ მასლებში აზოტი შედის როგორც შემატებელი ნაწილი. თოვის წამალი, ნიტროგლიცერინი. პიროვნელინი და სხ. როული ასაფეთქებელი ნივთიერებანი აზოტზე არის დამყარებული. არა მარტო ომისათვის, სამორმალნი და გზების მუშაობისათვისაც ასაფეთქებელი ნივთიერებანი აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენენ. ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ აზოტის მეავზე და ამიავზე დამყარებულია მთელი რიგი სამრეწველო დარგებისა — მაგალითად სალებავების მრეწველობა. ამიტომ კველა კვეყნები ცდილობენ აზოტის წარმოება საკუთარი იქნიონ, რომ სხვა ქვეყნები და დამოუკიდებელნი გახდენ.

საქართველოსთვისაც ეს საკითხი საჭირობორომ საკითხია. აზოტის მჩერწველობას აქვს არა მარტო ჩევნოთვის, არამედ მთელი კავშირისათვის ღიღიშველობა, რაღაც ასეთი იაფი ენერგია კავშირს სხვა ადგილებში ცოტა მოეპოვა. საწარმოვა მეოთხდის არევა კი ღმოკიდებულია იმაზე თუ რა მიზნისათვის დავიწყებთ აზოტის წარმოებას. კანალიდის წარმოება მიზანშეწონილი იქნება თუ მას ხელოვნურ სასუქად გამოვიყენებთ. ამიაკათ და აზოტის მეავდ პისი გადამუშავება არ იქნება მიზანშეწონილი. თვით ამიაკის და აზოტის მეავი ცუშალოდ რომ ჰერიდან მივიღოთ ეკონომიური თვალსაზრისით აღბად უფრო შისალები იქნება.

ეს აუარებელი ენერგია, რომელიც დასჭირდება აზოტს თავის თავად გვიკარნახებს ღიღილი მასშტაბის წარმოების შექმნას. ოცი-ოცდაათ ათასიანი სადგურები აზოტის წარმოებისათვის არ კმარა. ამიტომ სხვადასხვა ალაგას აგებული სადგურები ქსელების ქაშუალებით უნდა შეერთდენ ერთ რომელიმე ცენტრში. ასეთ ცენტრად შეიძლება ჩაითვლოს დასაელექტ საქართველო. აღბად აქ გაჩნდება პირველი ელექტრომეტალურგიული წარმოება ფერმარგანეცის სახით. აქვე არის ნაბრირი და კირი, რაც აადვილებს კარბიდის წარმოებას. კარბიდი, როგორც ვიცით, ნელლი შესალა არის კანალიდის წარმოებისათვის. თავისთვად კარბიდზე ღიღილი მოთხოვნილება არის აცეტილენის მისალებად.

რაც შეეხება ხელოვნური სასუქის ბაზარს — ბათომის და სუხუმის კულტურული რაიონები იქნებიან აღბად მისი მომხმარებელნი. ამიტომ ეს დარგი წარმოებისა ამ რაიონში უნდა დაიწყოს.

აღმოსავლეთ საქართველოში უმჯობესი იქნება დაარსდეს ელექტროლიტიური მრეწველობა სპილენძის, გლაუბერის მარილის (თუ ეს მიზანშეწონილათ იქნა ცნობილი). აქვე შეიქმნება ალბათ ძირითადი ქიმიური მრეწველობა — სოდა, ქლორი, გოგირდის მეავი, აზოტის მეავი და სხვ.

გარდა მსხვილი ელექტრო ქიმიური მჩერწველობისა არის მოელი რიგი შედარებით პატარი წარმოებისა, სადაც იაფი ელექტრონის ენერგია ღიღილი და სამსახურს გაგვიწევს. ასეთი ფოსფორის წარმოება ძელებიდან. ერთი ასეთი ქარხანა მიერ-კავკასიის ფედერაციის მასშტაბით აღბათ ტფილისში დაარსდება. იმ არანორმალურ მდგომარეობას, როცა აქ ჭველები გროვდება და ლენინგრადში იგ-ზანება რაც შეიძლება მაღლ უნდა მოელოს ბოლო. ეკონომიურ თვალსაზრი-

სით არ შეიძლება გამარტლება იმისა, რომ ნედლი შესალა ასე შორს იგზავნება გადასაშუალებლათ. მეორე მაგალითზე პატარია ქარხნის, სადაც იაფი ენერგია კარგ სამსახურს გავიწევს, იქნება გოგირდნამშირბადი. ეს პროცესი დღესაც უცხო-ეთიდან შემოგვაძეს. ცდები ამ წარმოების აქ მოწყობისა იყო. გოგირდ-ნახშირბადი საჭიროა როგორც არაორგანიულ ნიერებათა გასახსნელი საშუალება და ხორ-ბლის ბეღლების სადაც ჩინფექციონ. შეიძლება კიდევ ბევრი სხვა წარმოების ჩა-მოთვლა, რომლებიც ელექტრო-ჟიზიურ მრეწველობის დარღს ეკუთვნიან, მაგრამ ამ შემთხვევაში ეს საჭირო არ არის.

აქ ჩვეულება შევხეთ საერთოდ ელექტრო ქიმიურ მრეწველობის განვი-თარების შესაძლებლობას. რა მასშტაბის და ხასიათის იქნება ესა თუ ის, დარგი მრეწველობისა — ამ საკითხს შესწავლა უნდა. საკითხის კვლევა ძიებაში მონაწი-ლეობა უნდა მიიღონ ყველა დარგის სპეციალისტებმა. აგრძონების საქმეა გამო-კვლიონ საჭართველოს ნიაღვის საჭიროება ამა თუ იმ სახის ხელოვნურ სასუქ-ში. მათვე უნდა გამოარყვიონ რაოდენობა საჭირო ხელოვნურ სასუქისა. სამთო ინჟინერების დანიშნულება იქნება სამთომაღნო ნედლეულობის ბუდობების და ამა თუ იმ მაღანის რაოდენობის გამორკვევა. ყველა ამას დაემატება ბაზრის ზედ-მიწვნით შესწავლა.

ჩვენ გვინდა ამ საკითხის დაყენება იმ მიზნით, რომ ის გახდეს ზედმიწვ-ნით შესწავლის ობიექტი. რაც უფრო დაკვირვებით იქნება შესწავლილი საკითხი, მით უფრო რაციონალურ კალაბორში ადგება ჩვენ მრეწველობის განვითარება: თავიდნ ავიცილებთ შეცდომებს, რომელიც ყოველთვის მოსალოდნელია სა-კითხის ნაჩერებად გადაჭრის დროს. ამიტომ იქნებ ნააღრევი არ იყოს დაევალოს, რომელიმე დაწესებულებას შეისწავლოს ენერგიის გამოყენების საკითხი. ზემოთ ვთქვით, რომ ორი მესქმედი ენერგიისა, რომელიც ჩვეუნ გვექნება მომავალ წლებში თავისუფალი იქნება. ამ ენერგიის მზანშეწონილათ გამოყენებას გადამწვეტი ჰსიძვნელობა ექნება საჭართველო, მრეწველობის განვითარებისათვის.

Յ Ե Ւ Թ Պ Ճ Յ

6. აგესაძე

ჭარების დაცლების პამკანის უძღვები

როგორც ვიცით ჩვენ ეკონომიკური აღმზენებლობის ფრონტზე ხელისუფ-
ლების ერთ-ერთი უდიდესი ამოცანა იყო ფასების 10%-ით დაკლება. შრომისა-
და თავდაცვის საბჭოს ა. წ. თებერვლის 16-ს დადგენილებით იგნისის 1-თვეის სა-
კალო ფასების დაკლება სახელმწიფო და კონკურენტულ ორგანიზაციებში უნდა
მოხდარიყო 10%-ით იმ ფასების დონესთან შედარებით, რაც ა. წ. იანვრის
1-ს იყო.

ოუ რამდენათ დიდი ეკონომიური მნიშვნელობა ჰქონდა საცალო ფასების 10%-ით დაკლებას გაძირა მასებისათვის; ეს იქნანაც სჩანს, რომ ამ დაკვრითი ამოცანის განსახორციელებლად ხელისუფლებამ მოუწოდა აროგორუ სახელმწიფო. საცემრო და კომპეტიტიულ მრგვანიზაციებს, ისე პარტიულ და პროფესიონალურ არგვანებს. და ეს მომდი იმიტომ რომ საცალო ფასების 40%-თ დაკლებას რეალური შედეგი უნდა მოეტანა მუშაობა და გლეხთა მასისათვის საბიუჯეტო ნაკრების რეალური ღირებულების შემუირებით.

და გართლაც ვნებავთ, რომ დაწყებული თებერვლიდან ეს ფრიად დიდი და როთლული მუშაობა ფასების დაკლებისათვის ერთხელაც პ არ შენებლებულა და დღეს საც ისეთსაც ცხოველ ინტერესს იჩენენ ამ საკითხისადმი, როგორც კამპანიის დასაწყისში.

დღეს დღეობრი, როდესაც შრომისა და თავდაცვის საბჭოს დირექტივით შოცემული ვადა — იქნისის 1 — უკვე გავიღა, ვფიქრობთ ზედმეტი არ იქნება, ასევე სიკოთ მიღწეული შედეგები ფასების დაკლებისა და იგრძელება ამ კამპანიის დეფენსტები.

დაკრტყონ ტფილისით, ვინაიდან იგი წარმოადგენს ჩევენი ეკონომიკური ცხოვრების ცენტრსა და, რასაკერძოდ, ყველაზედ მეტად ის არის საინტერესო, თუ როგორ გატარდა ეს კაბპარია. ჩევენს დედაქალაქში.

ფაქტოურად ფასების დაკლება ჩეცეში დაიწყო ა. წ. მატტის 5-დან, როდესაც გამოიკა შინა-ვეკრობის კომისარიატის დადგენილება ფართლეულზე საჭლერითი ზედნაართის შემცირების შესახებ.

აღნი შეული დაგდენილებით კონპერატიული ორგანიზაციებისათვის საზღვრითი ზეღდნართი ფართლეულზე შემცირებული იქნა საშუალოდ 5%-თ. რასაკეთოველია, ზეღდნართების ასეთ შემცირებას თავისოთავად უნდა მოეცა ფართლეულზე საცალო ფასების შემცირება აგრძეთვე 5%-თ საშუალოდ.

მეორე გარემოება, რომელიც ფართოლულის ფასების შემცირებას იწვევდა, იყო ის, რომ თვით მრეწველობამ თებერვალშივე მოაწდნა ფართოლულზე საგა-.

საცემო ფასების შემცირება დახმარებით 5%-თ; ასე რომ საგასაცემო ფასების შემცირებასაც თავისი რეალური ეფექტი უნდა მოეცა საცალო ფასების დაკლების საქმეში.

მაგრამ აქ აღსანიშნავია ერთი გარემოება. ცხადია, თუ კოოპერაცია ზედნართებს ამცირებდა 5%-თ, ხოლო მრეწველობა კი აგრძელებს 5%-თ (საშუალოდ), მაშინ ორივეს ერთად უნდა მოეცა რეალურად საცალო ფასების დაკლება ფართლეულზე 10%-თ. ერთის შეხედვით ეს თითქოს ასეა, მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ რეალურად, სინამდვილეში, მრეწველობის მიერ საგასაცემო ფასების 5%-ით შემცირება, მომხმარებელ მასისადმი აღწევს მხოლოდ დახმარებით 3,6%-ის სახით. ასე რომ თუ ადგილობრივი ორგანიზაციები მიზნად დაისახავენ ფართლეულზე საცალო ფასების 10%-ით შემცირებას მაშინ მათ თავისი ზედნართების შემცირებით, სავაჭრო ხარჯების შემოკლებით და საერთოდ სავაჭრო პარატის რაციონალიზაციით უნდა მოეცათ ფასების დაკლება არა 5%-თ, არამედ 6,5%-თ. ან და, მეორეს მხრივ, ზომები უნდა ყოფილიყო მიღებული იმისთვის, რომ მრეწველობას კიდევ მოხედინა საგასაცემო ფასების დაკლება უფრო მეტი პროცენტით, ვინენ იყო 5%-ნი დაკლება.

ასეთი მდგომარეობა გვაქეს ფართლეულის მიმართ, მაგრამ თითქმის ეგზვე შეიძლება ითქვას სხვა სამრეწველო საგნების მიმართაც, ვინაიდან მრეწველობამ საგასაცემო ფასები ყველა თავის პროცენტუაზე დაუკლო საშუალოდ 5%-თ, ხოლო დანარჩენი უნდა მოეცა საქონლის გამტარ ქსელს თავისი ზედნართისა და სავაჭრო ხარჯების შემცირებით და პარატის რაციონალიზაციით.

და სწორედ იმის გამოსარევევად თუ ვინ როგორ ჩატარა ფასების დაკლება, რომელმა ორგანიზაციამ რამდენათ დაუკლო საცალო ფასებს, საკონტროლო და მომწესრიგებელმა ორგანიზებმა ჩატარა რამდენიმე გამოკვლევა.

ერთი გამოკვლევა ჩატარდა მატრის ბოლო რიცხვებში, მეორე პარილის ბოლო რიცხვებში და მესამეუ მაისის უკანასკნელ დღეებში.

პირველმა ორმა გამოკვლევამ ცხადი გახადა ის, რომ ყველა სახელმწიფო და კოოპერატიული ორგანიზაცია ენერგიულად შეუდგა 10%-ნი ფასების დაკლების ლოგიზმის განხორციელებას, ყველას ემჩნეოდა აშკარა ტენდენცია ფასების დაკლებისა და ამ მხრით მუშაობა მართლაც მეტად იყო გაჩაღებული.

ხოლო რაიცა შეეხება მესამე გამოკვლევის შედეგებს,¹⁾ იგი შემდეგ სურათს გვაძლევს:*)

ტეილისის სამოქმედობლო კოოპერაციამ ფართლეულობაზე საშუალოდ დაუკლო 11,8%, ხოლო სახელმწიფო სავაჭრო ორგანიზაციებმა 12,1% — ა. წინამდებრივის 1-თვის.

თუ ცალ-ცალკე აღვნიშნავთ თვითეულ ორგანიზაციის მიღწევებს დავინახავთ შემდეგს:

*) უკანასკნელ გამოკვლევაში მონაწილეობას იღებდენ მუშათა კომისიები და პროფესიონალური ორგანიზაციები. ასე რომ უკანასკნელი გამოკვლევის შედეგები ბევრად უფრო საინტერესო უნდა იყოს მკითხველი საზოგადოებისათვისაც.

1) მუშკონპმა დაუკლო ბამბეული ფართალს ფასი — 10%. მატყლის ნაკეთობას — 24.1%, სელის ნაკეთობას — 4.8%; ე. ი. საშუალოდ ფართლეულზე ფასები დაკლებულია — 12,1%-თ.

2) სატრანსპორტო საზ-მ „ზაკტონ“-მ დაუკლო — ბამბეულზე — 11,3%-თ, მატყლის ნაკეთობაზე — 14,9%-თ. სელის ნაკეთობაზე — 3,5%; ი. ი. საშუალოდ 11,1%-ით.

3) საჭ. „ბეცერა“ — ბამბეულზე — 11,8%-თ, მატყლის ნაკეთობაზე — 14,4%-თ, სელის ნაწარმოებზე — 5,0-თ; ე. ი. საშუალოდ — 11,5%.

4) სახელმწიფო ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ დაუკლო ბამბეულზე — 10,7%-თ, მატყლის ნაკეთობაზე — 23,1%-თ, სელის ნაკეთობაზე — 6,1%-თ — ე. ი. საშუალოდ 12,8%-თ.

5) „ტექსტილტორგმა“ დაუკლო ბამბეულზე — 10,4%, ხოლო მატყლის ნაკეთობაზე კი — 24,3%-თ. ე. ი. საშუალოდ 12,7%-თ.

ასეთია ორგანიზაციების მიხედვით ფართლეულზე ფასების დაკლების ზოგადი სურათი.

იმისათვის, რომ მიეღილოთ საერთოდ ფართლეულზე ფასების დაკლების საშუალო ბროცენტი. ანგარიში უნდა გავუწოთ იმას, თუ ფართლეულის საერთო ტრანსპირით ფართლეულ ჯგუფს რა წონა აქვს და ორგორია მისი ბრუნვა. ჩვენ ვიცით, რომ ფართლეულის საერთო ბრუნვაში ბამბეული ნაკეთობის ხვედრითი წონა უდრის დაახლოვებით 67%-ს, მატყლის ნაკეთობის — 21% და სელის კი — 12%-ს. და ა თუ ამ ბროცენტებს მიეღიებთ მხედველობაში მაშინ გამოვა; რომ ტფილისის კონპერაციას ფართლეულზე საშუალოდ ფასები დაუკლოს ა. წ. ივ-ნისის 1-თვეს 11,8%-თ. ხოლო სახელმწიფო ვაჭრობას კი — 12,1%-თ.

აღსანიშნავია აქ ის გარემოება, რომ მეტად უმნიშვნელო მიღწევები გვაქვს სელის ნაკეთობაზე ფასების შემცირების მხრით. მაგრამ ეს აისწნება იმ გარემოებით, რომ მრეწველობას სელის ნაკეთობაზე თითქმის სრულებით არ მოუხდენა საგასაცემო ფასების დაკლება და თუ ასამე მიღწევები გვაქვს ამ მხრივ ეს მხოლოდ ადგილობრივი სახელმწიფო და კონპერატიული ორგანიზაციების ხარჯზე.

ასეთია ფართლეულზე ფასების დაკლების საერთო სურათი.

შევეხოთ ეხლა ლითონის ნაკეთობას. ლითონის კურპელსა და ლითონის ნაკეთობაზე ფასები დაუკლო:

- 1) ტფილისის მუშკონპმა 6,9% (8 მაჩვენებელის მიხედვით).
- 2) „ზაკტონ“ — 10,5%-თ (19 მაჩვენებელის მიხედვით).
- 3) „ბოეცმა“ — 13,5%-თ (7 მაჩვენებელის მიხედვით).
- 4) სახელმწ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ 12,5%-თ (8 მაჩვენებლის მიხედვით).

5) საჭ. „ტფილისის ვაჭრობამ“ საშუალოდ 3,3%-თ.

აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ლითონის ნაკეთობაზე ფასების დაკლება უმთავრესად ტარდება ზედნართების შემცირებით. რომლის საშუალო დაკლებაც ხსენებული ორგანიზაციების მიმართ უდრის თითქმის 10%-ს.

სილიკატურ ნაკეთობაზე ფასები დაუკლო:

1) მუშკონპმა — 16,0% (11 მაჩვენებლის მიხედვით).

2) „ზაკტომ“ — 15,9 % (15 მაჩვენებლის მიხედვით).

3) „ბოკტა“ — 18,8 % -თ (7 მაჩვენებლის მიხედვით).

4) სახელმწ. ვაჭრობის საპაიო ამხანაგობამ — 6,8 % -თ (6 მაჩვენებლის მიხედვით).

უნდა აღინიშნოს ის გარემოება, რომ სილიკატების მიხედვითაც ვამჩნევთ ჰემოსენებული ორგანიზაციების მიერ ზეღანართების მნიშვნელოვან შემცირებას, რაც აღემატება 10 %-ს ანგრის 1-ის ზეღანართებთან შედარებით.

თუ ავილებთ ებლა ადგილობრივი მრეწველობის ისეთ საგნებს, როგორიცაა საპონი, თამბაქო, პაპირისი, ადგილობრივი ჩაი, ვერმიშელი, ქევი და სხვ., უნდა გსთქვათ, რომ საშუალოდ აქ გვაქვს ფასების შემდეგი დაკლება:

1) ტფილისის მუშკოობი — 6,2 % (10 მაჩვენებლის მიხედვით).

2) „ზაკტომ“ — 7,4 % (14 მაჩვენებლის მიხედვით).

3) „ბოკტა“ — 6, 8 % (9 მაჩვენებლის მიხედვით).

უნდა ითქვას, რომ აქ ხსენებული ორგანიზაციების მიერ ფასების დაკლების განხორციელებისათვის უმთავრესად ზეღანართები შემცირდა, რაც საშუალოდ აღემატება 4 %-ს, რამაც მოგვეა ზემოსენებული სამულო დაკლება ფასებისა, თორემ ადგილობრივის მრეწველობამ ზოგიერთ თავის პროდუქციაზე კიდევაც აუწია ფასები (მაგ. საპონზე).

ცალკე უნდა იქნეს აღნიშნული ფასების დაკლება ტყავეულობაზე და ტყავის ნაკეთობაზე.

საკავშირო მრეწველობის ტყავის ნაკეთობაზე (დამზადებული საქონელი) ფასები დაუკლო ა. წ. ივნისის 1-თვის:

1) მუშკოობა — 12,8 % -თ (6 მაჩვენებლის მიხედვით).

2) „ზაკტომ“ — 11,1 % -თ (15 მაჩვენებლის მიხედვით).

3) „ბოკტა“ — 6,5 % -თ.

4) სახ. ვაკრობის საპაიო ამხანაგობამ — 4,1 % -თ (5 მაჩვენებლის მიხედვით).

5) ტყავტრესტმა 17,3 % -თ (6 მაჩვენებლის მიხედვით).

რაიცა შეეხება თვით ს. მ. უ. საბჭოს ტყავტრესტის პროდუქციაზე ფასების დაკლებას, აქ უნდა აღინიშნოს, რომ თუ მისი პროდუქციის ზოგიერთ ნაკეთობაზე ფასები საშუალოდ შემცირდა იანგრის ფასებთან შედარებით 3,4 % -თ, სამაგიეროდ ზოგიერთ ფართო მოხმარების საგნებზე ტყავტრესტის მიერ ფასები მნიშვნელოვანად იქნა მომზატებული იანგრის ფასებთან შედარებით. ამ უამაღ მომწერებელი როგორების იანგრის მიერ ეს არანორმალური მოვლენა საბოლოოდ აღმოფხერდებოდა და უკვე ა. წ. ივნისის 1-დან დაწყებული ტყავტრესტმა ცველა თავის პროდუქციაზე დაუკლო ფასები საშუალოდ 5 % -თ ა. წ. იანგრის 1-ს ფასებთან შედარებით.

რასაკვირველია ეს საგრძნობი მოვლენაა მომხმარებელთა ფართო მასებისათვის, რამდენადაც იანგრის ფასებთან შედარებით აწეული ფასები ებლა დაკლებულია ამავე იანგრის ფასებთან შედარებით 5 % -თ, ასე, რომ ჩეალურად ამჯამად ამ საგნებზე ფასების დაწევა მოხდა საშუალოდ თითქმის 25-30 % -თ და ეს ისეთ საგნებზე (სანდლებზე), რომელიც ჩვენი ტყავტრესტის უმთავრეს პროდუქციას წარმოადგენს და რომელსაც დიდი ბაზარი იქვე.

რაიცა შეეხება თვით ტყით ტყავეულობას, უნდა ესთქვათ, რომ საკავშირო მრეწველობის ტყავეულობაზე ფასები საშუალოდ დაკლებულია 8,2%-თ, ხოლო ს. მ. უ. საბჭოს მიერ თავის ტყავეულობაზე საშუალოდ დაკლებულია ფასები 3,4%-ით.

ეხლა შევხით კვების პროცენტებს. არ უნდა დავიციწყოთ, რომ სასოფლო-სამეურნეო საგნების მეტად მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავთ ჩენენი მუშის საბიუჯეტო შენაკრებში. ისიც უნდა გაასლოდეს, რომ ეს პროცენტები პირველი მომხმარების საგნებია და ამ საგნების მომარაგების სათანადო მოწესრიგება ხელისუფლებაშიათვის დიდი გამარჯვება იქნება ეკონომიურ ფრონტზე. რა შედეგები გვაძეს ჩენენ კვების პროცენტებზე ფასების დაწევის საქმეში?

გამოკვლევამ გვიჩენა, რომ კვების საგნებზე ტფილისის სამომხმარებლო კომპერაციაში ფასები დაუკლო საშუალოდ — 10,8%-თ. აქედან:

- 1) მუშობობა — 12,2%-თ.
- 2) „ზეკტომ“ — 9,4%-ით.
- 3) „ბოეცმა“ — 10,1%-ით.

გამოკვლევამ გვიჩენა. რომ ზოგიერთ საგნებზე ფასების აწევასაც ჰქონდა აღგილი (ცხერის ხორცი, ბრინჯი აკულ., პილკილი), რაც გამოწვეული იყო ამ საგნების ან ნაკლებობით, ან მათ საგასაცემი ფასების გადიდებით.

ერთიან შეხედვით აქ მართლაც მნიშვნელოვან მიღწევასთან გვაქვს საქმე. მაგრამ არ უნდა დავიციწყოთ, რომ სასოფლო-სამეურნეო პროცენტების მომარაგების მხრით ჩენენი სამომხმარებლო კომპერაცია ჯერ კიდევ შედარებით სუსტ ძალას წარმოადგენს და მას ვერ მოუხერხებია ტფილისის სამომხმარებლო ბაზრის დაპყრობა ამ სფეროში ისევე, როგორც სხვა სფეროში. და სწორედ ამიტომ კერძო ბაზარს ამ დარგში ჯერ კიდევ მნიშვნელოვანი როლი უჭირავს. ამის გამო კვების პროცენტებზე ფასების ის დაკლება, რომელიც ზევით აღვნიშნეთ, რეალურად საგრძნობი ვერ იქნებოდა მომხმარებელთა ფართო მასისათვის. ამას გვიძრიცება თუ გინდ საბიუჯეტო შენაკრების ლირებულების მოძრაობაც.

მაგალითად, თუ საბიუჯეტო შენაკრების ლირებულებამ კომპერაციაში ა. წ. მაისის 1-თვის დაკლო 7,9%-თ იანვართან შედარებით, სამაგიეროთ მისი ღირებულება კერძო ბაზარზე გაიზარდა 3,0%-თ. მაგრამ უმთავრესი ის არის, რომ თუ კომპერაციაში საბიუჯეტო შენაკრების სასოფლო-სამეურნეო საგნების ფასი მაისის 1-ს იანვრის 1-თან შედარებით დაეცა — 7,6%-თ სამაგიეროდ იმავე სასოფლო-სამეურნეო საგნების ფასი კერძო ბაზარზე მაისის 1-ს იანვრის 1-თან შედარებით გაიზარდა 3,5%-თ.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ 66%-ს თავისი საბიუჯეტო შენაკრებისას მუშა-მოსამსახურე კერძო ბაზარზე ყიდულობს, როგორც ამას გვებულება პროფკავშირთა შრომის სტატისტიკის ბიურო, — ჩვენთვის აშკარა გახდება ის, თუ რა შედეგებს მოგეცემს საბიუჯეტო შენაკრების ლირებულების ასეთი აწევა კერძო ბაზარზე და განსაკუთრებით სასოფლო-სამეურნეო საგნებზე. რომლის ნაკლებობასაც განიცდის კომპერაცია მაშინ, როდესაც ამ ბაზარზე თავმის ბაზონპატრიოდ წარმოუდგენია თავის თავი კერძო კაპიტალს.

ეპტს გამოშეა, კერძო ბაზარზე ფასების ასეთი აწევა სასოფლო-სამეურნეო საგნებზე (სამრეწველო საგნებზე ფასების დაწევა იანვრის ფასებთან შედარებით ემჩნევა კერძო ბაზარსაც) თითქმის აქარწყლებს სამრეწველო საგნებზე ფასების დაკლების მნიშვნელობას და ამ მხრივ, ცხადია, მომწერიგებელ ორგანოებს სათანადო ზომებიც უნდა მიეღოთ.

და ჩვენ ვიცით, რომ ამ ფრონტებზედაც კომპერაციის გასაძლიერებლად ამ უკანასკნელ ხანებში მნიშვნელოვანი ნაბიჯები იქნა გადადგმული. მომწერიგებელი ორგანოების წინადაღებით სასოფლო-სამეურნეო კომპერაციას დაევალა დაუყონებლივ შეუდგეს ტფილისს და უმთავრესი ცენტრების სამომზმარებლო კომპერაციისათვის სასოფტ-სამეურნეო პროდუქტების დამზადებას. განზრახულია გეგმიანი წესით დამზადეს ტფილისს სამომზმარებლო კომპერაციისათვის — 200 ათასი ფ. კარტოფილი, 25 ათ. ფ. ხახვი, 20 ათ. ფ. კომბოსტო, 200 ყუთი კერტიცი თვიურად და საჭირო რაოდენობის ლობით. ამ გზით შევძლებთ სამომზმარებლო კომპერაცია უზრუნველყოთ ამ საგნების მარაგით, რაც მას საშუალებას მისცემს თავისუფლად გაუწიოს კონკურენცია კერძო ბაზარს და სათანადო სიმაღლეზე დააყენოს ტფილისს მომარაგება სასოფლო-სამეურნეო საწებით.

ამ რიგად თუ შევაჯამებთ იმ შედეგებს, რომელიც უკანასკნელმა გამოკვლევით მოგვცა, ჩვენმა წინაშე შემდეგი სურათი გადაიშლება ქ. ტფილისში ფასების დაწევისა ა. წ. ივნისის 1-ოვის.

ფასების დაკლება.

I ფართლეულობა.

| | |
|---------------------------|--------|
| 1) მუშკოპი | 12,1 % |
| 2) „ზაკტონ“ | 11,1 % |
| 3) „ბოეც“ | 12,8 % |
| 4) „ტექსტილტორგ“ | 11,5 % |
| 5) სახ. ვაჭრ. საპ. ამხ-ბა | 12,7 % |

II კვების საგნები.

| | |
|-------------|--------|
| 1) მუშკოპი | 12,2 % |
| 2) „ზაკტონ“ | 9,4 % |
| 3) „ბოეც“ | 10,1 % |

III ადგილობრივ მრეწვ. საგნები.

| | |
|-------------|-------|
| 1) მუშკოპი | 6,2 % |
| 2) „ზაკტონ“ | 7,4 % |
| 3) „ბოეც“ | 6,8 % |

IV ტყავის ნაკეთობა.

ა. საკავშირო მრეწველ. პროდუქცია.

| | |
|---------------|---------|
| 1) მუშკონბი | 12,8 %. |
| 2) „ზაკტბო“ | 11,1 „ |
| 3) ტყავტრესტი | 17,3 „ |

ბ) ს. მ. უ. ს. ტყავტრესტის პროდუქცია.

5 % -თ ა. წ. იცნისის 1-დან.

V ტყავეული.

| | |
|---------------------------------------|--------|
| 1) საკავშირო მრეწვ. პროდუქცია | 8,2 %. |
| 2) ს. მ. უ. ს. ტყავტრესტის პროდუქცია. | 3,4 „ |

VI ლითონის ნაკეთობა.

| | |
|---------------------------|--------|
| 1) მუშკონბი | 6,9 %. |
| 2) „ზაკტბო“ | 10,5 „ |
| 3) სახ. ვაჭრ. საპ. ამხ-ბა | 12,5 „ |
| 4) „ტფილ. ვაჭრობა“ | 3,3 „ |
| 5) „ბოეც“ | 13,5 „ |

VII სილიკატური ნაკეთობა.

| | |
|------------------------------|---------|
| 1) მუშკონბი | 16,0 %. |
| 2) „ზაკტბო“ | 15,9 „ |
| 3) „ბოეც“ | 18,8 „ |
| 4) სახ. ვაჭრ. საპარის ამხ-ბა | 6,8 „ |

აი, დაახლოებით ასეთი მდგომარეობა გვაქვს საცალო ფასების დაკლების საქმეში ტფილისში. უეიძლების თოქვას, რომ შრომის და თავდაცესის საბჭოს დირექტორი ქ. ტფილისის ორგანიზაციების მიერ სრულფება და თუ რამე დაბრკოლებას ამ მხრივ კიდევ აქვს აღინი, ამ ახლო მომავალში იმედი უნდა ვიქონიოთ იგი საბოლოოდ გამოსწორებული იქნება და შეგვიძლია დარწმუნებით ვსთვათ, რომ სამრეწველო საგნებზე 10 % -თ ფასების დაკლება ქალ. ტფილისში შესრულებული იქნება.

მაგრამ, თუ ასეთი ამ შეგვიძლია ქ. ტფილისზე ვთქვათ, ჩასაკვირველია, ამასვე ვერ ვიტყვათ პროგნოსიაზე, ენიადან 10 % -ნი ფასების დაკლების გატარებისათვის პროგნოსიაში ჯერ კიდევ ბევრი რაო არის გასაკეთებელი.

უნდა აღნიშნოთ, რომ თუ პროგნოსია ამ მხრივ თავის დედაქალაქს ჩამორჩება, ეს თუგინდ იმ უბრალო მიზეზითაც (დანარჩენ მიზეზებზე ქვემოთ გვექნება საუბარი) აიხსნება, რომ ფასების დაკლების კამპანიაში ადგილობრივი პარტიული და პროგნოსინალური ორგანიზაციები ჯერ-ჯერობით ისე ვერ იქნენ ჩაბმულნი, როგორც ეს მოხდა ტფილისში. სწორედ ამიტომ იქ შედეგებიც ნაკლები გვაქვს და მიღწევებიც არც თუ მნიშვნელოვანია.

მეორეს მხრივ, პროვინციაში ფასების დაკლების შედეგების, შემოწმება იმი-რომაც უფრო რთული ხდება, რომ დირექტივის მიხედვით ა. წ. ივნისის ფასები უნდა შევადაროთ იანვრის ფასების დონეს, ხოლო ბევრგან იანვრის 1-თვის კონ-პრატივებში ისეთი ფასები იყო, რომელიც სრულებით არ შეეფერებოდენ სენტებულ საგნებზე დაწესებულ ფასებს. გარდა ამისა, თვით კონპრატივი სა-პრატივები ისეთ ზედნართს არიცხავდა, რომელიც ბევრად აღემატებოდა დაწესე-ბულ წორმას და, რასაკირველია, ასეთ პირობებში, რომ კონპრატივის 10%-თ დაეკლო ფასები (კიდევაც, რომ ეს ყველგან გატარებულიყო), ამით მიღწეული შედეგები ჩვენ ვერავითარ შემთხვევაში ვერ დაგვაკმართულებდა, რაღან-ფასე-ბის ასეთი დაწევის შეძლევაც, ახალი ფასი არ იქნებოდა კანონიერი ფასის გამომხა-ტველი, ვინაიდან კონპრატივმა ფასები დაუკლო მის მიერვე იანვარში მეტად გახვიადებულ ფასებს.

და სწორედ ხშირია ისეთი ცონბები პროვინციიდან, სადაც ინიშნულია ფასების დაწევა 10 და კიდევ მეტი პროცენტით, რისი ასნაც ჩვენ უნდა ვეძიოთ იმაში, რომ იანვრის ფასები კონპრატივის ამ საქანელზე თავისი შეხედულებით ჰქონდა შემუშავებული და, რასაკირველია, იგი არ შეეფერებოდა მოწმესრიგე-ბელ ორგანოების მიერ დაწესებულ ფასებს.

ასეთივე სურათს იძლევა ზედნართების შემცირების ნუსხაც. იანვარში ზედ-ნართი მეტად სკარბობდა კანონიერ ფარგლებს. ხოლო ეხლა კი შედარებით მნი-შენელოვნად შემცირებულია.

დეორეს მხრით, ხშირია შემთხვევა, როცა საშუალო პრაცენტი დაკლებისა უბრალო არითმეტიკული ხერხით არის გამოყვანილი და ეს მაშინ, როდესაც რო-მელიმე გაუსაღებელ ან ნაკლებად მნიშვნელოვან საგნებზე ფასები მეტად არის დაწეული, ხოლო სხვა უფრო საჭირო საგანზე კი ბევრად უფრო ნაკლებად. რა-საკირველია ასეთ შემთხვევაში უბრალო არითმეტიკული საშუალო პროცენტის გამოყვანა ვერავითარ შემთხვევაში ვერ იქნება ფასების რეალური დაკლების გამომხატველი.

ყოველივე ეს იმის შედეგია, რომ ადგილობრივი ჯერ კიდევ სასესხით არ არის განმარტებული შინაარსი და მნიშვნელობა ან ტენიკა ფასების დაკლე-ბისა. არც ადგილობრივი საზოგადოებრივი დაწესებულებანი არიან აქტიურად ჩაბ-ბისა. არც ადგილობრივი საზოგადოებრივ დაწესებულებანი არიან აქტიურად ჩაბ-ბილნი ამ მუშაობაში, რის გამოც სოფლად ფასების დაკლების კამპანია ისეთივე ტემპით ვერ მიღდინარეობს, როგორც დედა-ქალაქში.

მაგრამ ის ცნობები, რომელიც ჩვენ ამ ეამად მოგვეპოვება პროვინციალურ ადგილებში ფასების დაკლების კამპანიის მსულელობის შესახებ, ნათლად გვიმ-ტკიცებენ. რომ მაინც მნიშვნელოვანი მუშაობა სწარმოებს ფასების დაკლე-ბისათვის.

ცეკვეშირის წინასწარი ცნობებით შეძლევი სურათი გვეშლება ფასების და-კლების მიზინარეობისა ა. წ. ივნისის 1-თვის.

15 სამაზრო-საქალაქო კონპრატივის მიხედვით შეძლევი ფასების დაკ-ლება მომხდარა ა. წ. ივნისის 1-თვის იანვრის ფასებთან შედარებით:

| | | |
|--------------|-----------|-------|
| ზურის ფევილი | 6 (მაჩვ.) | 2,4 % |
|--------------|-----------|-------|

| | | | | |
|-----------------|-----------|-------|-------|---|
| ბრინჯი | 8 | მაჩვ. | 10,11 | " |
| ერბო | 8 | " | 1,08 | " |
| ზეთი | 8 | " | 3,11 | " |
| მარილი | 6 | " | 2,87 | " |
| შაქარი რაფინადი | 11 | " | 7,14 | " |
| შაქარი ფხნილი | 13 | " | 3,64 | " |
| ასანთი | 11 | " | 1,27 | " |
| ნავთი | 12 | " | 3,17 | " |
| სარეცხი საპონი | 3 | " | 2,66 | " |
| ნარმა | 5 | " | 10,59 | " |
| მაღვალამი | 2 | " | 2,26 | " |
| ჩითი | 4 | " | 9,78 | " |
| მალესკინი | 4 | " | 4,21 | " |
| ძაფი | 8 | " | 11,27 | " |
| ურმის რეინა | 4 მაჩვენ. | | 8,87% | |
| სახურავი რეინა | " | | 6,1 | " |
| ლურსმანი | 5 " | | 1,22 | " |

ეს რაც შეეხება 15 სამაზრო-საქალაქო კონპერატიეს.

ავილოთ ებლა სოფლის კონპერატიები და გაესინჯოთ ფასების დაკლება.

30 სოფლის კონპერატივის მიერ ამავე საგნებზე შემდეგი ფასების დაკლებაა გრტარებული:

| | | | |
|-----------------|----|---------|-------|
| პურის ფქვილი | 9 | მაჩვენ. | 4,93% |
| ბრინჯი | 4 | " | 9,43 |
| მარილი | 8 | " | 6,46% |
| შაქარი რაფინადი | 24 | " | 6,93 |
| შაქარი ფხნილი | 21 | " | 3,0 |
| ასანთი | 21 | " | 4,39 |
| ნავთი | 23 | " | 4,1 |
| სარეცხი საპონი | 9 | " | 5,42 |
| ნარმა | 17 | " | 10,19 |
| მაღვალამი | 5 | " | 10,07 |
| ჩითი | 14 | " | 11,63 |
| მალესკინი | 8 | " | 10,8 |
| ძაფი | 20 | " | 13,79 |
| ჭიქა | 6 | " | 15,9 |
| ურმის რეინა | 3 | " | 17,54 |
| სახურავი რეინა | 2 | " | 15,56 |
| ლურსმანი | 10 | " | 7,32 |

როგორც ეს ცხრილი გვიჩვენებს პროვინციაში მეტად ჭრელი სურათი გვეჩლება თვალწინ ფასების დაკლებისა. მაგრამ ამ ცნობებიდან ფასების დაკლების საშუალო პროცენტის გამოყვანა ყოვლად შეუძლებელია იმიტომ, რომ ჯერ ცნო-

ბებია არ მოგვეპოვება ყველა კონკრეტული და მთელი ეს 45 კონკრეტული წარმადგენს 30%-ს ცეკავშირის სისტემაში შემავალი კონკრეტული რიცხვისას და ცხადია ერთ მესამედ ცნობების მიხედვით შეუძლებელი იქნება საშუალო პროცენტის მთელ სისტემაზე გავრცელება.

მეორეს მხრივ, თვით კონკრეტული და რიცხვიდან ერთი და იგივე საჭირელის ფასის დაკლება არ არის ნაჩვენები ყველა კონკრეტული შემთხვევა, როცა საშუალო პროცენტი აღებულია და გამოანგარიშებული 2-3 მაჩვენებელის მიხედვით. რასაკვრცელია, ვერც ამით მივაღწევთ რეალური საშუალო პროცენტის გამოყენას.

სწორედ ამიტომ ამ წინასწარი ცნობების მიხედვით და თუ ამას იმასაც დაუუმატებო, რაც ზემოთ ესთქვით პროექტიაში ფასების დაკლების ტენიკის შესახებ, — შეუძლებლად მოგვაჩნია ამ წინასწარი მასალებიდან. პროცენტების გამოყენა.

მაგრამ ამ ცნობებიდან, უდავოთ ერთი რამ გამომდინარეობს, სახელდობრ, ისა, რომ პროექტიაშიც მნიშვნელოვანი მუშაობა სწარმოებს ფასების დაკლების ბისათვის. შეიძლება რეალურად ფასების დაკლების პროცენტი სასოფლო აღილებში თვალსაჩინო არ იყვეს, მაგრამ ის მაინც აშკარაა; რომ ფასების დაკლების გატარებისათვის ამ უძაბნ პროექტიაში დიდი მუშაობა სწარმოებს.

რასა კირულია, შორსა გრძელ სასოფლო აღილებში 10%-ნი დაკლების განხორციელებიდან, მაგრამ დღეს როდესაც მთავარი ყურადღება უკვე სოფლისაკებ გვაქვს მიქეული, როდესაც ენერგიული ზომებია მიღებული აღილობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციების ამ მუშაობაში აქტიურად ჩაბმისათვის, ჩენ იმედი დი გვაქვს, რომ ახლო მომავალში ეს სურათი რადიკალურად შეიცვლება და ახალი ციფრები სულ სხვა ცნობებს მოგვცემენ.

ასეთია ფასების დაკლების კამპანიის შედეგების ზოგადი სურათ.

მაგრამ ვფიქრობთ საკითხი არ იქნება საესებით ამოწურული თუ იმ ნაკლა, და დეფექტებსაც არ მიუთითოთ, რომელიც თან ახლავს ფასების დაკლების კამპანიის გატარებას.

პირველი და მთავარი ნაკლი ფასების დაკლების კამპანიისა არის მრეწველობის მიერ ფასების დაკლების შემდეგ ზოგიერთი საქონლის ლირსების გაუარესება. ვიყით ისეთი შემთხვევები, როდესაც ფასების დაკლებას მრეწველობა ინაზღაურებს თვით საქონლის ლირსების გაუარესებით, ან საქონლის სიგრძე-სიგანის შემოკლებით. არის ისეთი შემთხვევებიც, როდესაც მრეწველობას დაბალი ხარისხის საქონელი მაშინ გადაყავს შემდეგ მაღალ ხარისხში, როცა მისი ფასის დაწევას ერიდება. მაღალი ხარისხის საქონელი უფრო მაღალ ხარისხში მაღაქცია ძველი ფასითურთ, ამით მან, ცხადია, თავიდან აიცინა ამ საქონელზე ფასის დაკლება:

რასა კირულია თუ ასეთ მოვლენებს ეჭნება აღილი, მაშინ შრეწველობის შეიქ საგასაცემ ფასების დაკლება რეალურ ნაყოფს ვერ გამოიღებს და იგი შედეგს ვრ მოგვცემს. სწორედ ამ გარემოებამ გამოიწვია „ცენტროსიუზის“ ცნო-

ბილი მიმართვა საკაეშირო სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს თავმჯდომარე ამს. კუიბიძევისადმი. ასეთ მოელენებს ჩვენ შეიძაუ ჰქონდა ადგილი (მაგალითად, საპონის შესახებ) და მომწესრიგებელმა ორგანოებმა მის წინააღმდეგ თავის დრო-ზე მიიღეს სათანადო ზომები. საჭიროა ამ გარემოებას ფხიზელი ყურადღება მიე-ქცეს და მის წინააღმდეგ სათანადო ზომები იქნეს მიღებული.

გარდა ამისა, ვინაიდნ მრეწველობის მიერ გატარებული 5%-ი დაკლება საგასაცემო ფასებისა აღწევს მომებარებელთა ფართო მსისადმი მხოლოდ 3,6% რაოდენობით, უფიქრობთ მრეწველობამ კიდევ უნდა მოახერხოს 1,5%-თ მაინც საგასაცემო ფასების დაკლება, რომ ამით რეალური განხდეს მომებარებელისათ-ვის მრეწველობის მიერ მოხდენილი ფასების დაკლება.

მოხდენილმა გამოკლევებმა დაგვანახა, რომ სახელმწიფო და კოოპერა-ტიული ორგანიზაციები ზედნართების შემცირებას ახდენენ უმთავრესად თავისი დაგრივების ხარჯზე და არა საკუჭრო ხარჯების შემოკლებისა და საკუთარი აპა-რატის რაციონალიზაციის ხარჯზე ზოგიერთ შემთხვევაში პირიქით იქვევეა. რომ საგაჭრო ხარჯები იზრდება და არ მცირდება. ამ გარემოებას შეტად სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. დაგროვების შემცირების ხარჯზე ზედნართების შემ-ცირება და ამით ფასების დაკლების განხორციელება არ არის ის რეალური და სწორი გზა, რომელმაც უნდა უზრუნველყოს საქონლის თნდათანი გაიაფება და ფასების დაკლება მომავალში. ეს უკანასკნელი უნდა ხორციელდებოდეს სა-ფაჭრო და ზედნადები ხარჯების შემცირებით და აპარატის რაციონალიზაციით. ამ მხრივ ჯერ კიდევ ბევრი რამ დარჩა გასაკეთებელი როგორც ჩვენს სახელმწი-ცო საგჭრო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს, ისე მომწესრიგებელ და საკონტ-როლო ორგანოებს, რომელთაც მმავალში მთელი თავისი გულის ყუ-რი აქვთკნ მიაპყრონ და გადაჭრიოთ ნაბიჯები გადადგან.

| 1925/26 წლის მთელი ბიუ- ჯეტი ათას მანებებში. | 871.612 | 575.412 | 28.718 | 5.134 | 98.143 | 253553 | 27.739 |

ამრიგად ეკონომიკის მხრივ საქართველო შორს ჩამორჩა კავშირის ზემო-ჩამოთვლილ რესპუბლიკებს, ამიტომ ის ყველაზე უფრო მეტაც იძულებულია აღგილობრივი მეურნეობის ყელა მოთხოვნილებები. ჯერჯერობით დაკამაყო-

ფილოს უმთავრესად საგადასახადო შემოსავლის და საერთო სახელმწიფო დაზ-მარების (დოტაციის) საშუალებით.

ამავე გარემოებით აიხსნება, როგორც უკვე არა ერთხელ აღგვინიშნავს ადგილობრივი ბიუჯეტების ქრონიკული დეფიციტიანობა, რომელიც გამოიხატება ფრიად მნიშვნელოვან პროცენტებში.

ამ მხრივ 1925-26 წ. ადგილობრივი ბიუჯეტის შესრულების ცნობები გვისურათებს შემდეგ მდგომარეობას:

| | შესრულებული ბიუჯეტის და მიუჯეტში . . . | |
|--|--|--|--|--|--|--|--|------|
| დეფიციტის ხედირითი წონა ბიუჯეტში . . . | 5,7 | 8,4 | 7,5 | 14,7 | 27,8 | 8,9 | 45,3 | 27,6 |

მასალები: ადგილ. და სახელმწ. ბიუჯეტები დ. ა. სსრ 1926/27 წ., დ. ა. სსრ ფინანსობრივი წერტილობავასის ადგ. ინუ. 1927 წ. გამოც. ჩრთოლო კავკასიის ფინანსმდებლობის; ადგილობრივი ბიუჯეტი ბელორუსის სსრ 1926/27 წ. გამოცემა ბელორ. სსრ ფინანსობრივის; ადგილობრივი ბიუჯეტი რსუ. სრ 1925/26 წ. გამოცემა, რსუსრ ფინანსობრივის; უკაიინის სსრ-ადგილ. ბიუჯეტი 1925/26 წ. უსსრ ფინანსობრივის გამოცემა.

ეს ცნობებიც არა საქართველოს სასარგებლოდ; ამიტომ დეფიციტიანობის! ნაწილობრივად მაინც შესასტებლად ადგილობრივმა ბიუჯეტმა უნდა აიღოს ისეთი გეზი, როთა ბიუჯეტში ტარდებოდეს თანხები ადგილობრივი მრეწველობის უკვე არსებული ქსელის საქართველოსათვის და უაღრესად მომზებიანი სამეცნიერო საწარმოთა მოწყობისათვის და აგრძელებისათვის და გამოიყენოს საჭიროებისათვის. ჩვენი მუდამ სამომზმარებლო ხასიათის დეფიციტიანი ბიუჯეტი უნდა უსათუოდ გავაკანსალოთ ბიუჯეტში ზემოთხამოთევლით სათანადო თანხების შეტნით, რისთვის საჭირო სახსრის უნდა გამოიხახოს არსებული ქსელის ზრდის დროებით შეჩერებით, ხოლო ცალკე შემთხვევაში ზოგიერთ დარგის დაწესებულებათა უკვე არსებულ გზვიადებულ ქსელის საგრძნობლად შემცირების და აგრძელებისათვის და განვითარების უკიდურესად შეკვეცით და აუკალებლად დოტაციის განსაზღვრულ ნაწილისათვის მიზნობრივი დანიშნულების მიცემით. დანარჩენში ადგილობრივი საბჭოების 1925-26 წლის შემოსავალთა სტრუქტურა შესამჩნევად არ განიჩევა წინა წლის შემოსავლის სტრუქტურისაგან და, ვიმეორებთ, რომ რამდენადაც შემოსავალის ზრდა და რაოდენობა უშუალოდ გამომდინარეობს ქვეყნის არსებულ ეკონომიკისაგან, იმდენად ცხადია, რომ ახლობელ სამეურნეო წელში უცვლელად დარჩება. ადგილობრივ შემოსავალთან ცალკე ჯგუფების შორის არსებული დამოკიდებულება.

საგადასახადო, არასაგადასახადო და სხვა შემოსავალთა ჯგუფების ურთიერთ შორის დამოკიდებულება 1925-26 წელში იძლევა შემდეგ სურათს (ათას მანეთებში):

ეს ცნობები მოწმობს, რომ 1925-26-წლის შემოსავალთა-სხეადასხევა ჯგუფებს შორის დამოკიდებულების სურათი ცოტაოდენ განსხვავდება. გასულ სამეურნეო წლის ანალოგიურ სურათისაგან. ის უმნიშვნელო ცვლილებები, რომელიც მოხდა ამ მხრივ 1925-26 წ. შემოსავალში, შემდეგაა:

ა) საგადასახადო შემოსავალთა ხევდრითი წონის დაკლება;

ბ) არასაგადასახადო შემოსავალთა ხევდრითი წონის დაკლება; რაც ნაწილობრივ აისხნება მთთ. რომ როგორც ზემოთაღვნიშვნეთ ბევრ ქალაქებში ბიუჯეტიდან მოიხსნა კომუნალური საწარმოები: ტრამვაი, წყალსადენი, ელსადგური, აბანი, სასაქლაო და სხვ.

გ) სხვა შემოსავალთა, თვალსაჩიხით ზრდაში სესხისა და სახელმწიფო დახმარების (დოტაციის) აბსოლიუტურად გადიდების გამო, მასთან თანახმდებოდა დახმარების ზრდა 1924-25 წელთან შედარებით აკრეთუებულ გამოწვეული იყო ნაწილობრივ წინა წლის დოტაციის რეალური გადიდებით და ნაწილობრივ კი საანგარიშო წელში პირეველი და მეორე საფეხურის სკოლების მასწავლებელთა ხელფასის დასაქმაყოფილებლად გათვალისწინებულ სპეციალურ დოტაციის სახელმწიფო ბიუჯეტიდან ადგილობრივი ბიუჯეტზე გადატანით.

შემოსავალთა ასრულების სურათი საერთოდ არ შეცვლილა, და ამ რიგად ზემოთაღვნიშნული ურთიერთშორის დამკიდებულება თითქმის შცვლელად დარჩა. მასთან ასრულების დროს დანამდვილებით განმეორდა იგივე მოვლენა, რომელიც აღნიშნული გეორგნდა 1924-25 წლის ბიუჯეტის შემოსავალთა ასრულების ანალიზის დროს. 1925-26 წ. ისე, როგორც წინა წელში, საგადასახადო შემოსავალი უკეთესად შეიტულდა, ვიდრე არასაგადასახადო შემოსავალი, და მასთან უკანასკნელი შემოსავლის ხევდრითი წონამ ზოგიერთ შემთხვევაში დაიკლო. შემოლოდ მთელ რესპუბლიკის მასტაბით არასაგადასახადო შემოსავლის შესრულებამ მოვცეა ვარაუდთან შედარებით ცოტაოდენი ზრდა (31,4 პრ.-დან 32,5 პროცენტამდე). აյ უნდა აღნიშნოთ, რომ თუ მთელ რესპუბლიკის მასტაბით აღებული ზემოაღნიშნული ცნობები გვაძლევენ ცოტად თუ ბევრად დამაკაყნილებელ სურათს შემოსავალთა სამიევ ჯგუფის ურთიერთშორის დამკიდებულებისას, ეს უნდა მიეწეროს საერთოდ მსხვილ ქალაქების და განსაკუთრებით ქალაქ ტელიოსის არასაგადასახადო შემოსავლს. რესპუბლიკის მასტაბით აღებული ზემოაღნიშნული ცნობები თვალსაჩინოდ იცვლება ცალკე და მოუკიდებელ ბიუჯეტის შემოსავლის განხილვის დროს. ცალკე დიფერენციალური გმინიდ ბიუჯეტების ქვემოთ მოყვანილი ცნობები ცხადად აღასტურებს იმას, რომ ქალაქების შემოსავალი რეალურია და მასთან მთავრებლოვანი, ხოლო მაზრის (მაზრის აღმასკომების) და განსაკუთრებით თემის ბიუჯეტების შემოსავალი უკიდურესად სუსტი. (იხ. ცხრ. 52 გვ.).

თუ ავტეგდთ რესპუბლიკის არასაგადასახადო შემოსავალს მთელ 100 %-ით, თითო სხის ბიუჯეტზე მოდის (შესრულების მიხედვით): (იხ. ცხრ. 53 გვ.).

თუ შემოსავლის არასაგადასახადო წყაროების ქალაქშა და სოფელს შორის არათანასწორად განაწილებას დაუმატებთ იმ გარემოებასაც, რომ ქალაქის შემოსავლის წყაროები უფრო შემოსავლიანია და თავის ბუნებით უფრო რეა-

1925-26 ව. ගෘෂ්ඨ යායා මෙහෙයුම් නිස්සේ ප්‍රතිඵලියෙන් පෙන්වනු ලබයි

| რესპუბლიკაში თბილისის მაზ- რის გამოკლებით. | თბილისის ჩა- ტანის რა- ოცენის ჩა- ტანი |
|---|---|
| თემებზე | 5,8% |
| მაზრებზე (მაზრალმ.) . | 30,5% |
| ქალაქებზე | 63,7% |
| | 100% |
| | 100% |

ლური, ვიდრე მეტად უმნიშვნელო თავის მოცულობით სოფლის საწარმოების მიწის და შენობების შემოსავალი, მაშინ აშკარად დაივინახავთ, თუ როგორ საძირკეელზე შენდება ჯერ-ჯერობით საქართველოს რესპუბლიკის სამაზრო და სახემო ბიუჯეტები.

თუმც საკავშირო რესპუბლიკაშიაც აქვს ადგილი საშემოსავლო წყაროების ქალაქსა და სოფლის შორის განაწილების ბუნებრივ დისპროპორციას, გაგრამ იქ ამ მოვლენას ასეთი აშკარა ხსიათი არა აქვს. როცა შემოსავლის წყაროების ცალკე დარგზე გვაქვს ლაპარაკი, უნდა შევჩერდეთ კომუნალური მეურნეობის შემოსავალზე და კვალდაკვალ გამოვარკვით ის ფინანსიური პირობები, რომელთა საფუძველზე ქალაქების კომუნალური შეურნეობა აღდენს თა- ცის გეგმებს. აქვე უნდა აღინიშვნოს, რომ საქართველოს ქალაქების კომუნალური მეურნეობა ამ მხრივ არ წარმოადგენს გამონაკლისს და ის მსგავსად კაგშირის ქა- ლაქების კომუნალურ მეურნეობისა, იძულებული ხდება ფინანსიური პირობე- ბის გამო მიიღოს თავის თავზე მჩავალ მნიშვნელოვან სოციალურ-კულტურულ შოთხოვნილებათა დაკამაყოფილების საგრძნობი ტვირთო.

საქართველოს რესპუბლიკის და კავშირის სოც. საბჭოთა რესპუბლიკის ქალაქების ურთიერთშორის შედარებისას ხაზი უნდა გაესვას როგორც საზო- გადოებრივი საჭიროებისათვის ქალაქის მეურნეობის მიერ გაწეულ ხარჯების რაოდენობას, ისე იმ გარემოებასაც, თუ ამდენად შესაძლებელია ქალაქის მე- ერნეობისათვის ასეთი ხარჯების გაწევა.

ქვემოთმოყვანილი ცხრილი გვამუნებს, თუ რა ფინანსიურ შედეგებს იძლე- და საქართველოში ქალაქების ცალკე წამოწყებათა ექსპლოატაცია (ათას მანეთებში): (იხ. ცხრ. 54 გვ.).

მაშასადამე რესპუბლიკაში ბოლოს და ბოლოს ქალაქების წამოწყებათა შოელი ფინანსიური შედეგები გამოიხატება უარყოფითი სალდოში, ჯამით 314.000 მანეთში და ამრიგად საერთოდ რესპუბლიკაში აღგილობრივი ბიუჯე- ტისათვის ქალაქების წამოწყების შემოსავლიდან არაფერი არ იყო გადარიკ- ჟული; თბილისის მაზრის გამოკლებით კი რესპუბლიკა იძლევა სულ სხვა სუ-

| საწარმოთა დასახელება | შემოსავალი | | გასავალი | | ფინანსიური შედეგები | |
|--------------------------|------------|--------|----------|---------|---------------------|--------|
| | მარტი | აპრილი | მარტი | აპრილი | მარტი | აპრილი |
| წყალსაღენი: | | | | | | |
| რესპუბლ. უთბილისოდ | 57 | 57 | 81 | 77 | — 23 | — 19 |
| „ თბილ. მაზ. ჩარ. | 376 | 372 | 85 | 80 | +291 | +292 |
| ელსაღგური | | | | | | |
| რესპუბლ. უთბილისოდ | 273 | 201 | 260 | 232 | + 13 | — 30 |
| „ თბილ. მაზ. ჩარ. | 482 | 408 | 1,433 * | 1,412 * | — 950 | +1,004 |
| სასაკლაო | | | | | | |
| რესპუბლ. უთბილისოდ | 104 | 109 | 37 | 36 | + 66 | + 73 |
| „ თბილ. მაზ. ჩარ. | 155 | 160 | 42 | 41 | +113 | +119 |
| აბანოები: | | | | | | |
| რესპუბლ. უთბილისოდ | 27 | 24 | 31 | 27 | — 4 | — 2 |
| „ თბილ. მაზ. ჩარ. | 128 | 126 | 31 | 27 | + 97 | + 98 |
| სხვა წამოწყებები: | | | | | | |
| რესპუბლ. უთბილისოდ | 336 | 288 | 208 | 212 | +127 | + 75 |
| „ თბილ. მაზ. ჩარ. | 612 | 485 | 314 | 307 | +298 | +178 |
| სულ რეს. თბ. მაზ. გამ. | 799 | 632 | 619 | 585 | +180 | + 97 |
| თბილ. მაზ. ჩარ. | 1,756 | 1,554 | 1,907 | 1,808 | —151 | —814 |

ჩათს: კომუნალურ წამოწყებებმა თავიანთ საექსპლოატაციო და სააღმშენებლო ხარჯების მნიშვნელით შემცირების წყალობით გადარიცხეს ადგილობრივ ბიუჯეტში 97.000 მან., ნაცვლად ბიუჯეტით ნავარაუდევი 180.000 მანეთისა. თუ ქალაქების კომუნალურ წამოწყებათა ცალკე დარგებს ავილებთ, დავინახავთ, რომ ზოგიერთ კომუნალური წამოწყებათა შემოსავლიდან გადარიც-

ხულ იქმნა სხვა წამოწყებათა საჭიროებისათვის. უზომოდ დიდი პროცენტი. ასე, ბაგალითად: წყალსაღენების მთელი საერთო შემოსავლიდან თვით წყალსაღენის საჭიროებისათვის დაბარჯულ იქმნა მხოლოდ 21,5 %-ი, ხოლო ქალაქების სხვა წამოწყებათა საჭიროებისათვის (უმთავრეს შემთხვევაში ელსადგურებისათვის)— 78,5 %-ი; კველა სასაკლაობების საერთო შემოსავლიდან დაბარჯულ იქმნა მათი საკუთარი საჭიროებისათვის მხოლოდ 25,6 %, სხვა წამოწყებებისათვის კი — 74,4 %. ზოგიერთ მაზრებში ქალაქის წამოწყებებიდან იმავე ქალაქის სხვა საჭიროებათა დასაქმაყოფილებლად გადარიცხულა თანხების ჯამი აღწევს კიდევ უფრო მეტ პროცენტამდე. ამიტომ დროა დაისკას სკიოთხი. რათა ამიტომიდან კომუნალურ წამოწყებათა შემოსავლიდან როგორც აღვილობრივ ბიუჯეტში, ისე თვით კომუნალური წამოწყებათა საჭიროებისათვის თანხების გადარიცხვა ხდებოდეს გარკვეულ სისტემისა და განსაზღვრულ ნორმის ფარგლებში.

დანარჩენ კომუნალურ ქანებათა, ე. ი. შენობების, საწყობებისა და საცენტრო სადგომებისა, მიწისა, ქალაქის ბაზრების და სხვათა — ექსპლოატაციის შედეგების აღსანიშნავად ქვემოდ მოგვყავს შეჯამებული ცნობები (ათას მანეთებში):

| კომუნალური ქანება | შემოსავალი | | გასავალი | | შეფეხი | |
|--------------------------|------------|-----------|----------|-----------|---------|-----------|
| | გარეული | შესაბამის | გარეული | შესაბამის | გარეული | შესაბამის |
| თბილისის მაზ. გამოკ. . . | 1.377 | 1.384 | 1.396 | 1.314 | — 19 | + 20 |
| მაზ. ჩართ. . . | 4.818 | 5.469 | 2.995 | 2.561 | +1.823 | +2.905 |

იმ რიგად კომუნალური მეურნეობის შემოსავლიდან აღვილობრივი ბიუჯეტში და ქალაქების კომუნალურ წამოწყებათა საჭიროებისათვის გადარიცხულ თანხის ჯამი 1925-26 წ. შესრულების ცნობების მიხედვით გამოიხატა 2.905.000 მანეთში. თუ რომდენად შესაძლოა და დასაშვები კომუნალური ქანების შემოსავლიდან ასეთი თანხების გადარიცხვა, რომლის ჯამი 1925-26 წ. შეაღენდა მთელ შემოსავლის 53,1 პროც.-ს. ამის პასუხს იძლევა ჩვენს ქალაქებში, განსაკუთრებით კი დიდ ქალაქებში. შენობების საერთო მდგომარეობა, მწვავე საბინაო კრიზისი, ქალაქებში საბინაო მშენებლობისა და სახლების კაპიტალური რემონტის სათვის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხების სიმიცირე, საბანკო კრედიტის საჭირო ზომამდე უქონლობა და სხ. მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ არსებულ საერთო პირობებში და აღვილობრივი ბიუჯეტების უკიდურესად დეფიციტით ინდიბიდის გამო ასეთი ყოვლად მავნე და აშენრად საზარალ მოვლენის თავიდან იცილება შეუძლებელი ხდება. ისიც დიდ მიწვევად უნდა ჩაითვალოს, თუ ჩვენ ახლო მომავალში კომუნალური ქანების შემოსავლიდან გადარიცხულ ჯამს დროებით, ამ ქონების აღდგენამდე. დავწევთ 15-20 %-მდე მაინც.

მთელ კომუნალურ მეურნეობის ექსპლოატაციის ფინანსიურ შედეგებს საერთოდ რესპუბლიკაში გვიხატავთ ქვემოთ ჩამოთვლილი ცნობები (ზოან მანეთებში):

| კომუნალური მეურნეობის დასახელება | შემოსავალი | | გასავალი | | შედეგები | |
|-------------------------------------|------------|---------|----------|---------|----------|---------|
| | მათება | მდგრადი | მარტინი | მდგრადი | მათება | მდგრადი |
| კომუნ. წამოწყება . . . | 1.756 | 1.554 | 1.907 | 1.868 | - 151 | - 314 |
| კომუნ. ქონგება . . . | 4.818 | 5.469 | 2.995 | 2.564 | +1.823 | +2.905 |
| სულ რეს. კომ. მეურ. . | 6.574 | 7.023 | 4.902 | 4.432 | +1.672 | +2.591 |

ამრიგად ვხედავთ, რომ საქართველოს კომუნალურ მეურნეობაშ ქალაქების შემოსავლის ყველა წყაროების ძალზე. მოწურვის, ყველა მოთხოვნილებათ მინიმუმამდე შეკვეცის წყალობით და კომუნალურ ბანკიდან სესხის აღების საშუალებით — თავის საერთო შემოსავლიდან საზოგადოებრივი მნიშვნელობის საჭიროებისათვის, ე. ი. — განათლების, ჯანმრთელობის და სხვ. გაიღო — 2.591 ათასი მანეთით და მასთან თვითონ ერთი კაპეიკითაც არ ისარგებლა არც საგადასახადო შემოსავლიდან და არც სახელმწიფო დახმარებიდან.

საქართველოს 25 ქალაქის კომუნალური მეურნეობის შემოსავლისა და მისი განაწილების შესახებ სურათს გვაძლევთ შემდეგი ცნობილი შესრულების მიხედვით ათას მანეთებში):

| კომუნალურ შემოსავალთა განაწილება | კომუნალური მეურნეობის ყველა შე- მოსავალი | კომუნალური მეურნეობის ყველა შემოსავალის მარტინი | კომუნალური მეურნეობის ყველა შემოსავალის მათება | კომუნალური მეურნეობის ყველა შემოსავალის მდგრადი | კომუნალური მეურნეობის ყველა შემოსავალის მდგრადი | კომუნალური მეურნეობის ყველა შემოსავალის მდგრადი |
|---|---|---|--|---|---|---|
| რესპუბლიკაში თბილისის მაზრის გამოკლებით 2.017 ათასი მან. 100% | 1.900 | 94,2 | 765 | 40,3 | 117 | 5,8 |
| რესპუბლიკაში თბილისის მაზრის ჩართვით 7.023 ათასი მანეთი 105% | 4.432 | 63,1 | 2.366 | 53,4 | 2.991 | 36,9 |

ყოველწლიური საბიუჯეტო ცნობები მოწმობენ იმას, რომ აღჭილობრივ საბჭოების მთელი მეურნეობიდან ყველაზე უფრო ჯანსაღი და შემოსავლიანია ქალაქების კომუნალური მეურნეობა, რომელიც ფარავს რა მთლიანად თავის თუნდაც შეკვეცილს და შეზღუდულს სააღმშენებლო და სხვა მოთხოვნილებებს, მასთან ერთად მნიშვნელოვან დამარტინას უწევს აღგილობრივ საბჭოებს მოსახლეობის მიერ კულტურულ-სოციალურ მოთხოვნილებათა განხორციელების საქმეში. ამიტომ საჭიროა ერთის მხრივ მიღებულ იქნიას ზომები კომუნალურ მეურნეობის დაუბრკოლებლივ ნორმალურ ზრდისათვის და მეორეს შერივ — სხვა გადამჭრელი ზომები საომრო და სამაზრო ბიუჯეტების შემოსავლის ნაწილობრივად მაინც გაძლიერებისათვის. ასეთი ზომების განხორციელებით რამოდენიმედ მაინც შემსუბუქებულ იქნება ის ტეირთი, რომელიც ეხლა მძიმედ აწევა კომუნალურ მეურნეობას.

(გაგრძელება იქნება).

საქართველოს საფინანსო მუნიციპალიტეტის გაღანცი

ჭ ე ს ა ვ ა ლ ი.

ს. ს. რ. კადუშიჩი. წარმოადგენს პოლიტიკურ და სამეურნეო ერთეულს. კავშირი შესდგება. ექვს მოკავშირე რესპუბლიკისაგან. ერთი ამ მოკავშირე რესპუბლიკათაგანი არის ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკა. უკანასკნელში შეზის საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაც. ამ კავშირს კიდევაც მოეპოვება სხვადასხვა გეარი შემოსავალს წყარო კოლექტიურ მოთხოვნილებათა დასაქმიაყოფილებლად. მოელი მისი შემოსავალი იყოფა ორ ძირითად ჯგუფად — სახარკოდ და ორასახარკოდ. ღვითიული ამ ჯგუფის შემადგრენლობას შემდეგ დავინახავთ.

კონსტიტუციის ძალით თვითეულს ვტონომიურ, მოკავშირე რესპუბლიკას და თვით კავშირს დაკისრებული აქვს მხოლოდ განსაზღვრული სახის ხარჯების წარმოება და თვითეულს მათგანს მიკუთვნებული აქვს შემოსავლის მხოლოდ განსაზღვრული სახეები. თვითეული მათგანის შემოსავალ-გასავლის ჯამი გვაძლევს „ს. ს. რ. კავშირის მთლიან სახელმწიფო ბიუჯეტს“.

ამ რიგად კავშირის ფარგლებში საფინანსო მეურნეობა გაერთიანებულია. საფინანსო მეურნეობის გაერთიანების ნიადაგზე სწარმოებს კასების გაერთიანებაც.

ავილოთ საქართველო. საქართველოს ტერიტორიაზე შემოდის მრავალი სხვადასხვა გვარი შემოსავალი. შემოსავლის ერთი ჯგუფი ეკუთვნის რესპუბლიკას, მეორე ა. კ. ფედერაციას და მესამე კი კავშირს. მასთან საქართველოს ტერიტორიის გარეშედაც არსებობს ისეთი შემოსავალი, რომლის წილი საქართველოსაც უნდა მიეკუთვნოს.

საქართველოს მთავრობასაც დაკისრებული აქვს საქართველოს ხარჯების საქართველოს „შენახვის“ მხოლოდ განსაზღვრული ნაწილის დაფარვა; მეორე ნაწილს ფარავს ა. კ. ფედერაცია და მესამეს-კი — კავშირი.

ასეთ პირობებში სრულიად ბუნებრივი საკითხი: როგორია საქართველოს რეალური შემოსავალი, როგორია საქართველოს რეალური გასავალი, როგორია საქართველოს საფინანსო მეურნეობის ბალანსი? ფარავს თუ არა საქართველო მთელ თავისი რეალური შემოსავლით მთელ თავის რეალურ გასავალს? დეფიციტიანია საქართველო თუ არა?

ჩვენ ვაყენებთ ამ საკითხს და ვეძებთ მასზე პასუხს იმ პირობების გათვალისწინებით, რომელშიაც დღეს საქართველო ცხოვრობს. ჩვენ მიზანს წარ-

მოადგენს არა იმის გამორკვევა თუ როგორი იქნებოდა საქართველოს შემოსავალი-გასავალი, იგი რომ კაშშირის ან ფედერაციის წევრი არ ყოფილიყო, არა-მედ იმის — თუ როგორია მისი შემოსავალ-გასავალი დღევანდელ პირობებში.

კონსტიტუციის თავისებურობის, საფინანსო მეურნეობის მთლიანობის გა-მოსავალი და საქართველოს შემოსავალ-გასავალი ფედერაციის შეჯამებით. ეს ქვება ტერიტო-რიალური საკასო შემოსავალ-გასავალი და არა რეალური, რომელიც ამჟამად გვაინტერესებს.

სწორედ ამიტომ საქართველოს რეალური შემოსავალ-გასავალის, მისი საფინანსო მეურნეობის ბალანსის გამოსარკვევად საჭიროა სხვა ხერხები.

საფინანსო მეურნეობა, ისე როგორც ყოველი მეურნეობა, განსაკუთრებით საზოგადოებრივი, მოითხოვს დაწვრილებით და სწორ აღრიცხვას — აქ ყოვე-ლი კაპეიკი უნდა აღიროცხოს.

საფინანსო მეურნეობის სფეროში არსებობს მრავალი ადვილად გამოსა-რკვევი საკითხი, მაგრამ მასთან არსებობს ისეთიც, რომლის გამორკვევა ოუმცა საჭირო და საკითხებრივია, მაგრამ იმდენად ძნელია, რომ მიღებულ მასალას დაახლოებით და ხშირად მხოლოდ საილუსტრაცია ხასიათი აქვს. ასეთ საკითხს, მაგ., წარმოადგენს სახარკო ტვირთის საკითხი. პროფ. ბრეეტერმანი თავის წე-რილში *) ნათლად გვიჩვენებს კველა იმ სიძნეელს, რომელიც იბადება ამ სა-კითხის გამორკვევის დროს. ხშირად დასახულ მიზანს კიდევაც უარყოფნა. დაუე-სის კომისიის მოხსენებაში, თუმცა ამ კომისიას ჰქონდა ყოველგვარი შესაძლებ-ლობა გერმანიის და სხვა სახელმწიფოების შედარებითი სახარკო ტვირთის გამო-სარკვევად, მითითებულია იმ დიდ ტეხნიკურ სიძნეელებზე, რომელიც იბადება ამ საკითხის გამორკვევებსას.

დიდ სიძნეელს წარმოადგენს აგრეთვე განსახლვრული პოლიტიკური ერ-თეულის საფინანსო მეურნეობის ბალანსის გამორკვევა, თუ ამ ერთეულის საფი-ნანსო მეურნეობა მხოლოდ მთლიან საფინანსო მეურნეობის ნაწილია. ასეთ ერთეულს წარმოადგენს სწორედ საქართველო. მისი საფინანსო მეურნეობის ბა-ლანსის გამორკვევა დიდ სიძნეელს წარმოადგენს. ეს სიძნეელ არა მხოლოდ ტეხნიკური, არამედ მეთოდოლოგიურ ხასიათისაც არის.

სახარკო ტვირთის საკითხი, ძველი საკითხა. ამ საკითხის მეთოდოლოგია ბევრად თუ უტად დამუშავებულია. მეორე საკითხი კი უფრო ახალია. ამ სა-კითხის მეთოდოლოგია დამუშავებულია არ არის — რამდენად ჩვენ ვიცით სა-ფინანსო ლიტერატურაში არ არსებობს შრომა, რომელიც იხილავდეს ამ სა-კითხის მეთოდოლოგიას.

წინამდებარე ნარკვევი არის — ცდა გამოვარკვიოთ საქართველოს საფინანსო მეურნეობის ბალანსის დამუშავების ხერხები და თვით ეს ბალანსიც. ზემო-სხვენებული სიძნეელების გამო ადვილად შესაძლებელია, რომ ამ პირველ ცდა-ში დავუშვათ ზოგიერთი შეცდომა. მაგრამ ვიმედოვნებთ, მათი შენიშვნა-შესწო-

რეგიონ შესაძლებელი გახდება საკითხის უფრო სწორი დამუშავება. მაგრამ არ უნდა დაგვაკიტყდეს, რომ ასეთ შემთხვევაშიც მიღებულ მასალას ეჭირა ისეთივე ხასათი, როგორც ჩვენს ნაშრომში მოცემულს — დაახლოებითა და საილუსტრაციო. ჩვენ კუურებთ ჩვენს ნაშრომს როგორც ცდას, მასთან როგორც პირველ ცდას და ძალიან შორის ერთ იმ აზრისაგან, რომ ჩვენს ნაშრომში ყოველი დებულება სრულიად უღავთ არის.

საფინანსო მეურნეობის ბალანსის გამონაგარიშების საფუძვლად აღებულია 1924-25 საბ. წლის ფინანსები, კინაიდან ჩეენ პირველად ამ წელში გვქონდა მთელი წლის ბიუჯეტი, რომლის შესრულება ხდებოდა ურყევი ფულის ტრიალის პირობებში და კინაიდან ახგარიშიც ჯერ-ჯერობით მხოლოდ ამ წლისთვის მოგვიპოვება.

კავშირის მოსახლეობა მიღებულია 135: მილ., საქართველოს მოსახლეობა შეადგინდა 2.499.000. ქალაქის მოსახლეობა შეადგინს 517.000 და სოფლის კი 1.982.000. საქართველოს მოსახლეობა შეადგინს მთელი კავშირის მოსახლეობის მე-54 წილს ანუ 1,85 %. ამიერ-კავკასიის მოსახლეობა უდრიდა 5.424.500. საქართველოს მოსახლეობა შეადგინს ამიერ-კავკასიის მოსახლეობის 46 %-ს (*).

*) ჩემ შემდეგი მასალებით ვხელმძღვანელობდით: საქართველოს ფინანსთა სახალხო კომისარიანის სტაციისტებურ მიურის ანგარიშები, ამიერ-კავკასიის და საქართველოს იმ დაწესებულებათა ცნობები, რომელთაც განსაზღვევლ ხავთხო ეკუთხოდით: „Единый (ориентировочный) Государственный Бюджет Союза Советских Социалистических Республик на 1924—1925 бюджетный год (октябрь 1924 г.—сентябрь 1925 г.) одобренный Советом народных Комиссаров Союза ССР“, „Единый Государственный Бюджет Союза Советских Социалистических Республик на 1924—1925 бюджетный год (октябрь 1924 г.—сентябрь 1925 г.)“, „Единый Государственный Бюджет Союза советских Социалистических Республик на 1925—1926 бюджетный год (октябрь 1925 г.—сентябрь 1926 г.) одобренный Советом Народных Комиссаров Союза ССР“, приложенные к последнему Бюджеты Союзных Социалистических Советских Республик на 1925—1926 год, одобренные Советами Народных Комиссаров и утвержденные Центральными Исполнительными Комитетами Республик“, „Объяснительная записка к проекту единого Государственного Бюджета Союза Советских Социалистических Республик на 1925—1926 бюджетный год (октябрь 1925 г.—сентябрь 1926 г.) одобренный Советом Народных Комиссаров Союза ССР“, „Финансы и Народное Хозяйство“ № 1. 1926 წ. „Экономический Вестник Закавказья“.

სახლმშენიშვნის გამოსავალი.

უპირველეს ყოვლისა შეუდგებით საქართველოს სახელმწიფო რეალური შემოსავლის გამოანგარიშებას. აქ დაცული იქნება საბიუჯეტო ნომერების თანამიმდევრობა.

ა) ჩეულებრივი შემოსავალი

1. პირდაპირურ ხარკები.

სასოფლო-სამეურნეო ხარკი: პირდაპირი ხარჯთა ჯგუფში ვხდებით უპირველეს ყოვლისა მთლიან სასოფლო-სამეურნეო ხარკს. მისი ობიექტია (1924-25). სანავ საოცენი მიწა. ეს ხარკი ეკუთვნოდა უდერაციას. მოგრამ საქართველოში ამ ხარჯს იხდიან ის პირები, რომელიც ჩაბმული არიან სასოფლო მეურნეობაში საქართველოს მიწა-წყალზე. საქართველოში შემოსული სასოფლო-სამეურნეო ხარკი მთლიანად წარმოადგენს საქართველოს რეალურ შემოსავალს. 1924-25 წლ. საქართველოში შემოვიდა:

| | |
|-----------------------------------|---------------------|
| სასოფლო-სამეურნეო ხარკი | 1.980 314 გ. |
| ჯარიმა და საურავი | 13.491 " |
| სულ | 1.993.805 გ. |

სარეწავი ხარკი. მეორე შინიშვნელოვანი პირდაპირი ხარკია სარეწავი ხარკი. ეს ხარკი 1924-25 წ. ეკუთვნოდა რესპუბლიკის. მისი ობიექტია ვაჭრობა-მრეწველობა (პირადი საქმიანობა). იმ სარეწავოების ხარკი, რომელიც იმყოფება საქართველოში, უნდა ასიცვალოს საქართველოს შემოსავლად. 1924-25 წლ. საქართველოში შემოვიდა:

| | |
|--|---------------------|
| საპატინტო (ძირითადი) | 579.280 გ. |
| განმთანაბრეჭელი (დამატებითი) | 734.834 " |
| ჯარიმა და საურავი | 74.331 " |
| სულ | 1.388.445 გ. |

საშემოსავლო ხარკი. 1924-25 წ. მიუთვნებული ჰქონდა საქართველოს. მისი ობიექტია საქართველოში მყოფი იურიდიკულ და ფიზიკურ პირთა შემოსავლი. საშემოსავლო ხარკიც მთლიანად საქართველოს შემოსავალს წარმოადგენს. 1924-25 წ. შემოვიდა:

| | |
|--|---------------------|
| საშემოსავლო ხარკი | 1.152.398 გ. |
| კომპერ. სახ. შერეულ სახ. ხარკი | 817 " |
| ჯარიმა და საურავი | 148.864 " |
| სულ | 1.302.079 გ. |

ერთდროული ხარკიც მონათესავე ხასიათისაა და იგი მთლიანად საქართველოს შემოსავალს წარმოადგენს, თუმცა 1924-25 წ. იგი მიკუთვნებული ჰქონდა კაეშის. 1924-25 წ. შემოვიდა:

ერთდროული ხარკი 302.419 გ.

სამეცნიერო ბაჟი. ეს შემოსავალი მიკუთვნებული ჰქონდა ფედერაციას. იმ შემთხვევაში, როდესაც სამეცნიერო მასა იმყოფება საქართველოში სამეცნიერო ბაჟისც საქართველოს შემოსავლად უნდა ჩაითვალოს, 1924-25 წელს შემოვიდა:

| | |
|-----------------------------|------------------------|
| სამეცნიერო ბაჟი | 6 921 გ. |
| ჯარიმა და საუზავი | 53 გ. |
| | სულ 6.974 გ. |

ამრიგად პირდაპირი ხარკები, შემოსული საქართველოს ტერიტორიაზე მთლიანად საქართველოს შემოსავალს წარმოადგენს. ჩენ მიერ გათვალისწინებულია ხარკების შემოსავალი საქართველოში სხვა რესპუბლიკების ანგარიშზე და სხვა რესპუბლიკებში საქართველოს ანგარიშზე — თანხები, რომელიც არ ეყუთვნიან საქართველოს და არც არის შეტანილი ამ რიცხვებში.

II. არაპირდაპირი ხარკები.

ზემოთ ვსთქვით, რომ პირდაპირი ხარკები შემოსული საქართველოში წარმოადგენს საქართველოს შემოსავალს. საქართველოს შემოსავალი სწორედ იმდენია, რომდენი შემოვიდა სალარებში მის ანგარიშზე. ეს არ ითქმის არაპირდაპირ ხარკებზე. არაპირდაპირ ხარკებში გვაქვს ორი ჯგუფი — აქციზები და ბაჟები. შევჩერდეთ ჯერ პირველზე და მეორეზე.

ა) ა. ქ. ც ი ზ ე ბ ი.

მოხმარების ზოგიერთ საგნებზე დადებულია აქციზი. ამ საგნების სიას ჩვენ ქვევით გავეცნობთ.

ჩვენ ვიზიარებთ იმ დებულებას, რომ ხდება აქციზის გადანაცვლება და რომ აქციზს იხდის მომხმარებელი. სააქციზო შემოსავალი მთლიანად ეკუთვნოდა კაეშის. მაგრამ აქციზ დადებული საგნები მოიხმარება საქართველოშიაც, საქართველოში მოხმარებული აქციზს იხდის საქართველოს მცხოვრები და ამ საგნების აქციზი წარმოადგენს საქართველოს შემოსავალს, საქართველოს რეალურ სააქციზო შემოსავალს.

მაგრამ საქართველოს ტერიტორიაზე შემოსული აქციზი არ წარმოადგენს საქართველოს რეალურ სააქციზო შემოსავალს — იგი მხოლოდ ტერიტორიალური, საქართველოს საფინანსო მეურნეობა, როგორც ვსთქვით მხოლოდ წარმილია გაერთიანებული საკართველო საფინანსო მეურნეობა.

ბის. სააქციზო შემოსავალი. სადაც არ უნდა შემოდიოდეს იგი, მთლიანად ეკუთვნის კავშირს.

აქციზ დადებული საგნები მოძრავია. საგნის დამზადების ადგილს შეიძლება ეს საგანი ან მთლიანად ან მხოლოდ ნაწილობრივ იხმარებოდეს. საგნის მოხმარების განსაზღვრულ ადგილში საჭიროება შეიძლება იფარებოდეს მთლიანად შემოზიდული საგნებით, ნაწილობრივ შემოზიდული საგნებით ან მთლიანად ადგილობრივ დამზადებული საგნებით.

აქციზის გადახდები როგონიზეციაც ელასტიურია. აქციზი შეიძლება ვადახდილი იქნეს საგნის წარმოების ადგილს, შეიძლება გადახდილ იქნეს საგნის მოხმარების ადგილს.

საქართველოში შემოდის მრავალი აქციზ დადებული საგნები — ნაწილი რჩება საქართველოში, ნაწილი ისევ სტოკებს საქართველოს. მაგრამ შემოდის მრავალი აქციზ გადაუხდელი საგნებიც. ამ საგნების ნაწილი ისევ სტოკებს საქართველოს აქციზ-გადაუხდელად. დარჩენილი ნაწილი იბეგრება აქციზით. ამ აქციზგადახდილ საგნებიდან შეიძლება ნაწილი დარჩეს საქართველოში და ნაწილმა ისევ დასტოკოს საქართველო. საქართველოში ნაწარმოები და გასატანი: საგნების აქციზი შეიძლება გასტუმრებულ იქნეს საქართველოში, შეიძლება გასტუმრებული იქნეს მოხმარების ადგილს — კაშირის სხვა პუნქტებში. აქციზან გამომდინარეობს შემდეგი: პრის შემთხვევა, როდესაც საგანი იხმარება საქართველოში, მაგრამ აქციზი, რომელიც საქართველოს შემოსავლად უნდა ჩაითვალოს. შემოდის საქართველოს გარეშე; პრის შემთხვევაც, როდესაც საგანი იხმარება საქართველოს გარეშე; მაგრამ აქციზი, ე. ი. შემოსავალი, რომელიც ეკუთვნის საგნის მოხმარების ქვეყანას, შემოდის საქართველოში. სწორედ ამიტომ საქციზო შემოსავალი საკართველო, ტერიტორიალური შემოსავლით და არა რეალური შემოსავალი.

როგორ გავიგოთ აქციზ-დადებულ საგანთა მოხმარებული რაოდენობა? ცნობებს ამის შესხებ გვაძლევს თუ პრ სააქციზო უწყება? საქართველოს ტერიტორიაზე ასებობს ე. წ. საბაზისო საწყობები. ჩაის და ყავის გასანაწილებელი განყოფილებანი. ღვინის საწყობები და სარდაფები. ყოველი აქციზ-გადაუხდელი საგანი აუცილებლად მოდის ერთ-ერთ ამათში, სიღრანაც იგი მიღის მოხმარების ადგილზე — ე. ი. ან რჩება საქართველოში და ბაზარზე გაშების დროს იბეგრება აქციზით ან მიღის მეზობელ რესპუბლიკებში და მასთან ან გადახდილი ან გადაუხდელი აქციზით. სააქციზო უწყება ახდენს აღრიცხვას იმ საგნებისას, რომელიც შემოდის, გადის და რჩება საქართველოში ადგილობრივ საჭიროებისათვის. მაგრამ არის ისეთი შემთხვევა, როდესაც საგანი შემოდის გადახდილი აქციზით და იგი არ გადის საბაზისო საწყობებში. ასეთი შემთხვევები შედარებით იშვიათია. ამ რიგად აქციზ-დადებულ საგანთა მოხმარება უდიდეს ნაწილში აღირიცხება სააქციზო უწყების მიერ. როგორც ვხდეთ სააქციზო უწყების ცნობები უნაკლო არ არის. ამიტომ აქციზ დადებულ საგნების მოხმარების ასოდენობის გამოსარკვევად ჩენ სხვა საბუთებიც უნდა გვექნდეს. ამ მიზნისათვის გამოდგება სტატისტიკის ცენტრალური სამმართველოს საბიუჯეტო და მოსახლეობის კვების გამოკველევანი. შეიძლება გამოყენებული იქნეს შინა-ვუპრობის

სახ. კომისარიატის მიერ გამომუშავებული მოხმარების ნორმები ერთ სულზე და მომარავების გეგმებისა და შესრულების ცნობები. ცალია, რომ მიღებულ მასალას ყოველ შემთხვევაში დაახლოვებით ხასიათი ექვება, მაგრამ სინამდვილეს იგი დიდად მაინც არ დაკილდება. სრულებით სწორ მასალას მივიღებთ ჩვენ თვითეული ოჯახის მოხმარების დაკვირვებით მთელი წლის განმავლობაში. მაგრამ ეს ხომ შეუძლებელია და ჩვენ უნდა დაკვირვებით დაახლოვებითი ცნობებით, რომელიც, ვიმერებთ, დიდად არ იქნება დაშორებული სინამდვილეს.

ამ შენიშვნების შემდეგ შეცვალებით საქართველოს რეალურ საქციზო შემსავლის გამორკვევას. წინასწარ კიდევ შემდეგი უნდა აღნიშნოთ: საპატენტო გადასახადს, იმავე მოსახრებით, როგორც სარეწავ ხარკს, ჩვენ ვსოდით საქართველოს შემსავლად. საქართველოს შემოსავალი ვსოდით აგრეთვე საურავს და ჯარიმას; ვინაიდან ეს არის შემოსავალი საქართველოში მომხდარი და საქართველოში არსებული კანონების დარღვევისათვის.

აქციზი და საპატენტო გადასახადი სასმელებზე. დ ვ ი ნ ღ. საქართველო ლვინის ჭვევანაა. აქ მზადება ლვინო. იგი მზადება ისეთი რაოდენობით და ხარისხით, რომ აქმაყოფილებს ჩვენს მოთხოვნილებას და კიდევ რჩება თავისუფალი რაოდენობა, რომელიც გაგვაქვს საქართველოს გარეშე. საქართველოში წარმოებული ლვინის ნაწილი მოიხმარება ისევ მწარმოებლის ოჯახში ან საზოგადოთ სოფლად, სადაც ლვინის შეძენა და მოხმარება თავისუფალია, უაქციზით. დანარჩენებზე კი, რომელიც იმიმარება სავჭროების საშუალებით, დადებულია აქციზი. აქციზ-გადაზიდილი ლვინის შემოტანას საქართველოში შემთხვევით ხასიათი აქცეს და იმდენად იშვიათია, რომ შეიძლება მას გვერდი ავუაროთ. ამ მოსაზრებით უნდა ითქვას: საქართველოში 1924-25 წ. მოხმარებულ იქნა იმდენი აქციზ-დადებული ლვინო, რომენიც ნაჩვენებია სააქციზო უწყების მიერ თავის ანგარიშებში, როგორც ადგილობრივად მოხმარებული და აქციზით დაბეგვრილი.

1924-25 წ. მოხმარებული იყო ლვინო 14° -მდე 803.493 ვედრო. ერთი ვედროს აქციზი შეადგენდა 64 კაპ. მთელი აქციზი კი 514.235 მ. 50 კაპ.; 14° — 20° -მდე მოხმარებული იყო 3.021 ვედრო; აქციზი ერთი ვედროსი იყო 3 მან. 20 კაპ. მთელი აქციზი კი იქნება 9.667 მან. 20 კ. შუშუნა ლვინოს მოხმარება შეადგენდა 139 ვედროს. ერთი ვედროს აქციზი იყო 20 მან. მთელი შემოსავალი კი 2.780 მან. მთელი აქციზი კი იქნება:

| | |
|--------------------------------|------------|
| ლვინის აქციზი | 526.683 მ. |
| საპატენტო გადასახადი | 152.683 " |
| სულ . . . | 679.366 მ. |

სპირტი. საქართველოში მზადდება დიდალი სპირტი. საქართველოდანაც გადის დიდალი სპირტი. სააქციზო უწყება ახდენს ყოველი შემოსული, გასული და ადგილობრივად მოხმარებული გრადუსის სწორსა და სრულ ალრიცხვას. ალრიცხველი სპირტის მოხმარება შემთხვევითი და იშვიათია. ამიტომ საქართველოში 1924-25 წლ. მოხმარებული სპირტის რაოდენობათ უნდა ჩაითვალოს ის რაოდენობა; რომელიც ნაჩვენებია სააქციზო უწყების ანგარიშში, როგორც ადგი-

ლობრივად მოხმარებული — აქ, რასაკვირველია, ლაპარაკია მხოლოდ აქციზით დაბეგრძილ სპირტზე.

საქართველოს რეალურ სააქციზო შემოსავალს მივიღებთ ისევ თვითულ ხერისხის რაოდენობის გამრავლებით სააქციზო განაკვეთზე. სააქციზო უწყების ცნობით ბაზარზე გაშებულ იყო შემდეგი უმი სპირტი (გრალუსებით): ხილეულობის 385. ამ სპირტის სააქციზო განაკვეთი იყო — 5 კაბ., სააქციზო შემოსავალი იქნება 19 მან. 25 კაბ.; კაჭის 589.677. კაჭის სპირტის აქციზი იყო 5 კაბ. და სააქციზო შემოსავალი კი — 29.483 მან. 85 კაბ. ჰურის — 7.530 გრ. სააქციზო განაკვეთი ურდიდა 24 კაბ. ამ სპირტის მთელი სააქციზო შემოსავალი შეადგნდა 1.807 მან. 20 კაბ. უმი სპირტის გარდა გერმნდა რექტიფიკაციაშინილი სპირტიც: ხილეულის — 11.355 — სააქციზო განაკვეთია — 5 კაბ. და სააქციზო შემოსავალი შეადგენს 567 მან. 75 კაბ.; კაჭის სპირტი 4.732.625 გრ. — სააქციზო განაკვეთი იყო — 5 კ. სააქციზო შემოსავალი, ამ რიგად, იქნება — 236.631 გ. 25 კაბ. ჰურის სპირტის გამოშევებული რაოდენობა შეადგენდა — 1.175.631 გრ.-სს. ამ რაოდენობიდან 718.271 გრ. დაიბეგვრა უმაღლესი განაკვეთით, ე. ი. 30 კაბეკით. სააქციზო შემოსავალი შეადგენდა 215.481 მან. 30 კაბ. დაბალი განაკვეთით დაბეგრა 457.090 გრ. სააქციზო განაკვეთი იყო 10 კაბ. სააქციზო შემოსავალი კი 45.709 მან. კონიაცის სპირტი დაიხარჯა 401650 გრ. სააქციზო განაკვეთი ურდიდა 5 კაბ. და სააქციზო შემოსავალი 20.082 მან. 50 კაბ. არაყის ნაწარმოების დახარჯული რაოდენობა შეადგენდა 492 ვედროს. ერთი ვედროს განაკვეთი იყო — 14 მან. და მთელი სააქციზო შემოსავალი — 6.888 მან. ამ რიგად მთელი შემოსავალი შეადგენდა:

| | |
|--------------------------|-------------------|
| სპირტის აქციზი | 556 670 გ. |
| დამატებითი | 26 971 „ |
| სულ . . . | 583.641 გ. |

ლუდი, თაფლის სასმელი, კვასი, ხილეულობის და ხელოვნური მინერალური წყლები. ლუდის საჭიროება იუვარება უმოავერესად აღგილობრივი წარმოებით. ცურე რაოდენობა შემოგვაქვს საქართველოში ბაქოდნ. შემოტანილი იყო 1924-25 წლ. განმავლობაში და მასთან უკვე გადახდილი აქციზით 1.666 ვედან 33.320 ბოთლი. ერთი ბოთლის აქციზი ^(*) შეადგენს 8,1 კაბ. ამ რიგად შემოტანილი ლუდის აქციზი მთლად იქნება 2.698-92 კ. სხვა წყლების მოთხოვნილება იფარება აღგილობრივი წარმოებით. ეს წყლები არ გაგვაქვს საქართველოდან, არც შემოგვაქვს საქართველოში. საქართველოს რეალურ შემოსავლად ჩვენ ვსთვლით გარდა აღნიშნული 2.698 მან. 92 კაბ. იმ თანხას, რომელიც 1924-25 წლ. შემოვიდა ჩვენს სალაროებში — 102.054 გ. 60 კ. მთლად იქნება:

| | |
|---|-------------------|
| ლუდის და სხვა სასმელების აქციზი | 104.753 გ. |
| საპატიო გადასახადი | 30.539 გ. |
| სულ . . . | 135.292 გ. |

(*) „Вестник Фин.“ № 10 25 გ.

საფუარი. საფუარი არც შემოგვაქვს, არც გავვაქვს, მოთხოვნილება ძვარება საფუარი წარმოებით. საქუიზო უწყების მიერ მოხმარებული რაოდენობა აღრიცხულია მთლიანად. რეალურ შემოსავლად ჩვენ ვსთვლით იმ შემოსავალს, რომელიც შემოვიდა 1924-25 წ.

საფუარის აქციზი 1.409 გ.

სასმელების ჯარიმა და საურავი 1924-25 წ. შეადგენდა — 7.664 მან. ამ რიგად სასმელების შემოსავალი მთლიანად იქნება 1.407.372 გ.

შაქარი. საქართველოს საჭიროების დასაფარავად შაქარი შემოაქვთ რუსეთიდან და უცხოეთიდან. შემოდიოდა გადაუხდელ აქციზით. აქციზის გადახდას შემდევ ნაწილი იგზაუნებოდა მეზობელ რესპუბლიკებში. საქუიზო უწყება ახდენდა საქართველოში ადგილობრივი მოხმარების დასაქმაყოფილებლად დარჩენილ და გაზიდულ შაქრის აღრიცხვებას. გადახდილი აქციზით შაქარს შემოზიდავდა „ამ.-ქავ. სატრ. სამოშ. საზ.“, რომელიც ანაზილებდა ამ შაქარს მთელ ა. კ. რკინის გზების საზრე. ეს შაქარი არ იყო აღრიცხული სააქციზო უწყების მიერ. ამ უწყების ცნობით 1924-25 წლ. ადგილობრივი მოხმარება შეადგენდა 710,5 ათას ფუთს. ჩვენ უნდა ვიგულისხმოთ, რომ შაქრის მცირე ნაწილი გავიდა საქართველოდან, მაგრამ გვერნია, რომ ეს ნაწილი ითვარება იმ შაქრით, რომელიც „ამ.-ქავ. სატრ. სამოშ. საზ.“ მიერ შემოზიდული იყო და დაიხსრულა საქართველოში; ამიტომ გვერნია, რომ 710,5 ათ. ფუთი ახლო სდგას სინამდვილესთან. შინა-ეკვრ. სახ. კომისარიაზის ცნობებით *) გეგმის მიხედვით საჭირო იყო 663.500 ფუთი შაქარი. ფაქტიურად დაახლოვებით 5%-ით მეტი შემოვიდა, ე. ი. 696.675 ფუთი. ეს რიცხვი ძლიერ ახლო სდგას ზევით მოცემულთან. ჩვენ ვხელმძღვანელობთ ზევით მოცემული რიცხვით; ერთი ფუთის აქციზი იყო 4 მან., ამ რიგად საქუიზო შემოსავალი შედგენს:

შაქრის აქციზი 2.842.000 გ.

ჯარიმა 1 "

სულ 2 842 001 გ.

ქარხლის შაქრის გარდა საქართველოში შემოდიოდა სახამებელის შაქარიც. ამ შაქრის აღრიცხვა ვერ მოვახდებოთ, მაგრამ იგი იმდენად უმნიშვნელოა, რომ მისი აღრიცხვის გარეშე დატოვება არ იქნიებს დიდ გაულენას საბოლოო შედეგებზე.

ყავა და ჩია. მთელი ის ყავა, რომელიც იხსარება საქართველოში, შემოდის უცხოეთიდან. საქუიზო უწყება აწარმოებს შემოტანილ, გატანილ და ადგილობრივი დარჩენილი ყავის აღრიცხვას. საქართველოში მოხმარებულ რაოდენობად ჩვენ ვსთვლით იმ რაოდენობას, რომელიც ნაჩვენებია საქუიზო უწყების მიერ, როგორც საქართველოში მოხმარებული. ამ უწყების ცნობით ადგილობრივი მოხმარება შეადგენდა 32.821 კილოს. ერთი კილოს აქციზი უდრიდა 1 გ. 95 კპ. ამ რიგად მთელი საქუიზო შემოსავალი შეადგენდა 64.000 მან. 95 კპ.

უფრო რთულია ჩიას საკითხი. ჩია შემოდის რუსეთიდან უკვე გადახდილი აქციზით. მაგრამ დიდალი ჩია შემოდის უცხოეთიდანაც. ჩიას ნაწილი ისევ გადის საქართველოდნ. საქუიზო უწყების ცნობა ჩიას მოხმარების რაოდენობაზე

არის სრული — მისი აღრიცხვების გარეშე დარჩა რუსეთიდან შემოტანილი აქციზ-გადახდილი ჩა. ამიტომ ჩვენ იძულებული ვართ მიეგართოთ სხვა ხერხებს მოხმარებული ჩაის რაოდენობის გამოსარკვევად, გლეხის ბიუჯეტის გამოკვლევა, რომელიც მოხდა 1924-25 წელს, გირჩევებს, რომ ჩაის შეკრის წლიური ნორმა ერთ სულზე შეადგენს დაახლოებით 0,06 გირვანქას. ამ ნორმას ვიღებთ ჩვენ სოფლის მთელი მოსახლეობისათვის. მოსახლეობის კვების გამოკვლევა სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს მიერ (იხ. სახელმწიფო სტატისტიკის მთაბეჭვი № 1 (11) 1926 წლ.) გვიჩენებს, რომ ტფილისის და ქუთაისის მოხმარების დღიური ნორმა ერთ სულზე შეადგენს 0,001 და ფოთის, ბათონის და სოხუმის 0,002 გირვანქას. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ მცირე ქალაქებში მოხმარების ნორმა კიდევ უფრო მცირეა, უგვიძლია კუთხეთ, რომ მოხმარების ნორმა ქალაქებში შეადგენს 0,001 და წლიური კი 0,4 გირვანქას.

სოფლის მოსახლეობა შეადგენდა — 1.982.000 და ქალაქის 517.000. აქედან ვლებულობთ, რომ მოსმარებული ჩაის რაოდენობა შეადგენდა სოფელში 118.920 გირვანქას. ქალაში 206.800 გრძელქას, სულ კი — 325.720 გირვანქას.

ჩის საქციზო შემოსვლის გამოანგარიშებისათვის არსებობს კიდევ ერთი დაბრკოლება. ჩაი აქციზით დატევერის მიზნით დაყოფილია 3 ხარისხად — უმაღლეს, პირველ და მეორე ხარისხად. თითოეული სარისხის მოხმარების რაოდენობა გამოურკვეველი დარჩა და აქაცია იძულებული ვართ მიემართოთ ისეთ ხერხს, რომელიც მხოლოდ დაახლოებით ცნობას მოგცემს საქციზო შემოსვლის შესახებ.

სოფელში მოხმარებული ჩაის რაოდენობას ჩვენ გვზრდავლებთ ერთს განაკვეთზე — მეორე ხარისხის განაკვეთზე (61 კაპ.), ქალაქში მოხმარებული ჩაის რაოდენობასც ერთ განაკვეთზე — პირველი ხარისხისა (1 მან. 10 კაპ.).

ასეთი ოპერაციის შემდეგ მივიღებთ, რომ ჩაის აქციზი დაახლოებით შეადგენდა 300.021 გან. 20 კ. მთელ შემოსავალი კი იქნება:

| | | |
|-------------------------|---------|----|
| ყავის აქციები | 64.001 | ა. |
| ჩაის | 290.021 | " |
| ჯარიმა | 405 | " |
| | 354.427 | ა. |

მართალია, ეს რიცხვი მნიშვნობ დაახლოებითია, მაგრამ ის ყოველ შემთხვევაში დიდად არ შორდება სინაზდვილეს.

ასანთი. საქართველო საკუთარი წარმოებით ეკი აკმაყოფილებს ასანთის სა-
ჭიროებას. ყოველ წელს ჩენებ შემოგვაქვს ასანთი რესეპტილან. ჩენებ მოვალეობები-
ობის მარებული ასანთის რაოდენობის შესახებ შინა-ვაჭრობის სახალხო კომისა-
რატის ცნობები *). ამ ცნობების თანახმად 1924-25 წელში მომარებული იყო
75 ვაგონი ანუ 48.750.000 კოლოფი ასანთი. აქაზი ერთ კოლოფზე შეადგინ-
და 0.6 კა. და მოული საქართველო შემოსავალი კი 292.500 მარებს.

ასანთის აქციზი 292.500 გ.
ჯარიმა 84 "
სულ 292.584 გ.

*) сб. Фк. Вест. Зак. № 20 83-7.

თამბაქო და თამბაქოს ნაწარმოების აქციზი. საქართველო იძლევა სხვადასხვა ხარისხის თამბაქოს. საქართველოში პაპიროსის დამზადებაც ხდება. ნაწილი მოიხმარება საქართველოში, ნაწილი გადის საქართველოდან. განსაზღვრული რაოდენობით თამბაქო და პაპიროსი შემოდის გარედანც.

სამცურნეო წლის განმავლობაში, სახელდობრ 15 თებერვალს თამბაქოს აქციზის სფეროში მოხდა მნიშვნელოვანი ცელილება. 15 თებერვალიდე აქციზის დაბეგვრის მიზნით არსებობდა თამბაქოს და პაპიროსების დაყოფა ხორისხად უმაღლესი, პირველი და მეორე ხარისხად. პაპიროსის საქციზო განკვეთი შეაღგენდა ამ ხარისხებისათვის — 6-60, 3-55, და 1-85 კ. ათასი ცალისათვის. თამბაქოს საქციზო განკვეთი და იმავე ხარისხებისათვის იყო — 3-60, 2-10 და 1-30 კ. გირგანგისათვის. 15 თებერვალიდან შემოღებული იყო დაყოფა 5 ხარისხად — უმაღლესი, პირველი ა, პირველი ბ, მეორე ა, მეორე ბ, საქციზო განკვეთი პაპიროსისათვის იყო 6-45, 4-30 კ., 3-60, 2-05 კ., 1-40კ.; თამბაქოს აქციზი კი ერთი კრლოგრამისათვის იმავე ხარისხების მიხედვით იყო 7-60, 5-70, 5-50; 3-30, 2-30.

პაპიროსების რეალიზაცია ხსენებულ წელში შემდეგნაირად იყო (ზოას ცალილობით):

I/X—24 წ.—I/III—25 წ.

| | |
|--------------------------|-----------------|
| უმაღლეს ხარისხის | 4382,2 |
| I-ლი ხარისხის | 243063,2 |
| II ე " | 71198,8 |
| სულ | 318644,2 |

I/III—24 წ.—I/X—25 წ.

| | |
|--------------------|-----------------|
| უმაღლ. ხარ. . . . | 62660,6 |
| I-ლი ხარ. . . . | 174168,8 |
| II-ე ხარ. . . . | 22260,3 |
| I-ლი ხარ-ა | 274409,7 |
| II-ე ბ. . . . | 84877,9 |
| სულ | 618376,4 |

ამრიგად 24-წ. ორივე ნახევრის განმავლობაში სულ რეალიზაციაქმნილი იყო 931.021 ათასი ცალი. ეს იყო ტრესტის მთელ რეალიზაცია. თუ ჩვენ თოთოვეული ხარისხის რეალიზაციას გავამრავლებთ ამ ხარისხის განკვეთზე და მიღებულ ჯამებს შევართობთ, დავინახავთ, რომ რეალიზაცია-ქმნილი პაპიროსის აქციზი შეადგენდა 2.955.287 მან. 35 კაპ. მაგრამ მთელი რეალიზაციაქმნილი პაპიროსიდან საქართველოს გარეშე გაიყიდა 290.481 ათასი ცალი (პაპიროსები გაყიდული საქართველოს გარეშე მყიფი კანტორების მიერ, პაპიროსები მიყიდული გამგებობის და ტფილისის კანტორის მიერ საქართველოს გარეშე მყიფ მომხმარებლებზე), დანარჩენი კი გაიყიდა საქართველოში. ჩვენდა სამწუხაროდ არ მოგვეპოვება ცნობები საქართველოში და საქართველოს გარეშე გაყიდული პაპიროსების ხარისხად დაყოფის შესახებ, რომ სრული სისწორით გამოვანგარიშოთ საქართველოს რეალური საქციზო შემოსავალი. თუ ჩვენ მთელ აქციზიდან ავიღებთ 69 %-ს, ე. ი. რეალიზაციაქმნილი პაპიროსების იმ ნაწილს, რომელიც გაიყიდა საქართველოში, ჩვენ მივიღებთ დახულოვებითს და ჩვენთვის საჭირო ცნობას. ამის და მიხედვით საქართველოს რეალური საქციზო შემოსავალი იქნება 2.039.088 გ.

თამბაქოს რეალიზაციის სურათი შემდეგნაირია (კილო):

| I-ლი | შერიოდი | II-პერიოდი |
|--------------|---------|-------------------------------|
| უმაღლეს ხარ. | 62,3 | უმ. ხ. 101,2 |
| I-ლი ხარ. | 8446,3 | I-ლი ხარ. ა. 454,4 |
| II-ე 〃 | 21923,2 | I-ლი ხარ. ბ. 1870,0 |
| სულ | 30431,8 | II-ე ხარ. ა. 28807,2 |
| | | III-ე ხარ. ბ. 18911,2 |
| | | სულ 50144,0 |

შტრიგად წლის განმავლობაში რეალიზაციაქმნილი იყო 80.576 კილო.

სააქციზო შემოსავალი შეადგენს 268.359 გ. 84 კაპ. აქციდან საქართველოს ფარგლებში რეალიზაციაქმნილი იყო 45%, საქართველოს გარეშე კი 65%; ვინაიდან საქართველოს ფარგლებში გაყიდული თამბაქოს ხარისხობრივი დაყოფა არ მოგვეპოვება, აქცი საქართველოს წილად ვიღებთ აქციზის 43%-ს ანუ 120.780 მან.

ამ რიგად თამბაქოს და პაპიროსის აქციზი იქნება — 2.159.868 მან. მავრამ უნდა აღინიშნოს, რომ ეს არის აქციზი მზოლოდ ტრესტის მიერ რეალიზაციაქმნილი პაპიროსის და თამბაქოსი. ტრესტის გარდა არსებობს სხვა სარეწაოებიც. ამასთან უნდა გვასხოვდეს, რომ ტრესტის პროდუქცია შეადგენს მთელი პროდუქციის 90%-ს; უნდა ვიგულისხმოთ, რომ მისი რეალიზაციაც შეადგენს საერთო რეალიზაციის 90%-ს და აქციზი კი მთელი აქციზის 90%-ს, ე. ი. მთელი სააქციზო შემოსავლის 10%-ი წარმოადგენს სხვა სტრუქტურების მიერ შეტანილ აქციზს, — ეს იქნება 239.985 მან. ამ რიგად მთელი აქციზი იქნება 2.159.868 + 239.985 = 2.399.853 მან.

ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ საქართველოში შემოდის პაპიროსი და თამბაქოც საქართველოს გარედანაც. სააქციზო უწყების ცნობებით შემოტანილი რაოდენობა არ აღმატებოდა ჩვენი მოხმარების 10%-ს. ამიტომ ჩვენ შემოტანილ თამბაქო-პაპიროსის აქციზად ვიღებთ ზემოთმოყვანილ აქციზის 10%-ს. ე. ი. 239.985 მანების. ამ რიგად მთელი აქციზი იქნება 2.399.853 + 239.985 გ. = 2.639.838 მან.

პაპიროსის, ჰილზის და პაპიროსის ქაღალდის აქციზი. აქციზი იმ ჰილზებზე, რომელიც მიღის ქარხნებშე პაპიროსისათვის, ნაანგარიშევია პაპიროსის აქციზში. მასშადამ ჩვენ უნდა ვინგარიშმოთ მხოლოდ ის ჰილზები, რომელიც მიეწოდება მომხმარებელს უშუალოდ. ჰილზების საჭიროებას ჩვენ ვფარავთ საკუთარი წარმოებით. სააქციზო უწყების ცნობებით 1924-25 წელს მოხმარებული იყო ადგილობრივ 11.199.000 ცალი. 1000 ც. აქციზი იყო 25 კაპ. ამ რიგად მთელი აქციზი იყო 2.911 მან. 74 კაპ.

1924-25 წლ. მოხმარებული ქაღალდის რაოდენობა ჩვენ ვერ გამოვარკვიეთ. ამიტომ მივმართავთ სხვა ხერხს. ამ წელში მთელ კაცშინში ბაზარზე გამოიშვებული იყო 169.890.194 კვ. მეტრი ქაღალდი. შეიძლება ვიგულისხმოთ, რომ იგი

მთელ კავშირში თანასწორად დანაწილდა. საქართველოს წილი იქნება 3146115 კპ-მეტრ. საქციზო შემოსავალი (2 კ.კ. მეტრი) იქნება 62.922 გ. 30 კ. ამ რიგად

| | |
|----------------------|------------------|
| აქციზი | 65834 გ. |
| ჯარიმა | 1 436 გ. |
| სულ | 67.270 გ. |

მარილი. საქართველოს საჭიროება იფარება შემოზიდული მარილით. მარილი შემოდის ორგორც გადახდილი, ისე გადაუხდელი, აქციზით. საქციზო უწყების ცნობა არ არის სრული და ამიტომ ჩვენ მივმართავთ სხვა ცნობებს. შინაგამირობის სახალხო კომისარისტის ცნობებით 1924-25 წელში მოხმარების ნორმად ერთ სულზე აღებული იყო 24 კიბ. ამ ნორმაში გათვალისწინებულია მესაქონლეობის და მრეწველობის საჭიროებაც. 1924-25 წლის მოხმარება შეადგენდა ამ ნორმის და მოსახლეობის რიცხვის მიხედვით 59.976.000 გირვანქას ანუ 23.990.400 კილოს. ასი კილოს აქციზი იყო 61 კაპ. ამ რიგად მთელი რეალური საქციზო შემოსავალი უდრიდა 146.241 მან. 44 კაპ.

| | |
|--------------------------|-------------------|
| მარილის აქციზი | 146.241 გ. |
| ჯარიმა | — |
| სულ | 146.241 გ. |

ნავთი. სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს სათბობი განყოფილების მასალებიდან სჩანს, რომ 1924-25 წელს საქართველოს მომარავება ნავთით და ნავთის ნაწარმოებით შემდეგნაირი იყო: ნავთი 922.042 ფ., ბენზინი 65. 199 ფ., საცხები ზეთი — 61.125 ფ. საქციზო განაკვეთი იყო ნავთისათვის 60 კაპ. და ბენზინისა და ზეთისათვის 1 მ: 60 კაპ. ამ რიგად მთელი შემოსავალი იყო:

| | |
|-------------------------|-------------------|
| ნავთის აქციზი | 755.288 გ. |
| ჯარიმა | — |
| სულ | 755.280 გ. |

ნართვ-ნაქსოვის აქციზი. როგორც ვიცით აქციზით იბეგრება ბამბის, სელის, მატყლის ნართი და აბრეშუმის ქსოვილი. ნართის მრავალგვარობის მიხედვით, მრავალგვარია საქციზო განაკვეთი. საქართველოში არსებობს საფეიქრო სარეწაოები. მათ მიერ მოხმარებული ნართი და ნაწარმოები ქსოვილები იბეგრება საქართველოში და აქციზი შემოდის ჩვენს სალაროებში. ჩვენს სალაროებში შემოდის გარეთვე აქციზი იმ ქსოვილებისათვის, რომელიც შემოდის უცხოეთიდან (კონსუტიკავაქმნილი კონდრაბანდა, ამანათებით მიღებული ქსოვილები) და იმარება საქართველოში. საქართველოში შემოსული საფეიქრო აქციზი მთლიანად ეკუთვნის საქართველოს. ეს შემოსავალი შეადგენდა 1924-25 წელში 33.061 მან. 72 კაპ.

საქართველო აქმაყოფილებს თავის საჭიროების უდიდეს ნაწილს რუსეთიდან შემოტანილი ნართვ-ნაქსოვით. ჩვენ ვეღებულობთ დამზადებულ პროდუქტს. აქციზი შედის სალაროში წარმოების აღილზე, ე. ი. რუსეთში. ამ რიგად საქართველოს რეალური შემოსავალი შემოდის რუსეთის სალაროებში და არა სა-

ქართველოში. საქართველოს რეალური შემოსავლის გამოანგარიშებისათვის ჩვენ უნდა ვიცოდეთ რამდენი და როგორი ქსოვილები მოხმარდა, როგორი იყო ნართის გამოსავლიანობა და ამ გზით გამოვარკვიოთ მოხმარებული ნართის სახე, ხარისხი, რაოდენობა და უკანასკნელის მიხედვით რეალური სააქციზო შემოსავალი. მის გამორკვევა ძლიერ ძნელია, განსაკუთრებით იმ შესაძლებლობათა მიხედვით, რომელიც აქვთ აქ (ტიფილისში) ავტოჭურა. როგორ გამოვიდეთ ამ მფლობარებიდნ? შინა-ვაჭრობის სახალხო კომისარიტს ბაზის ქსოვილის მოხმარების ნორმად 1924-25 წელში აღებული ჰქონდა 12 არშინი 1 სულშე. საქართველოსათვის საჭირო იყო 29.988.000 არშინი. შემოტანილი იყო ამ რაოდენობის 98%, ე. ი. 29.388.240 არშინი.

მოსკოვის ფინანსისტების გამოანგარიშებით *) საშუალო აქციზი ამ წელში შეადგენდა 1,3 კაპ. ამიტომ სააქციზო შემოსავლად ბაზის ქსოვილებისა უნდა ვინანგარიშოთ 382.047 მან. 12 კაპ.

ბაზის ქსოვილების გარდა იხმარებოდა სხვა ქსოვილებიც.

გლეხთა შორის (სტატისტიკის ცენტრალურ სამართველოს, ცნობებით, რომელიც დამყარებულია ბიუჯეტის გამოკლევაზე) შალის ქსოვილების შეძენის ნორმა შეადგენდა 1924-25 წელში 0,24 არშ. ერთი არშინის საშუალო აქციზი შეადგენდა 29,6 კაპ. (მოსკოვის ფინანსისტების გამოანგარიშებით, იხ. სენატული უქრანალი). გავავრცელებთ რა გლეხის შეძენის ნორმას მთელ სოფლის მოსახლეობაზე, მივიღეთ, რომ 1924-25 წელში დაახლოვებით მოხმარებული იყო 475.680 არშ. გადახდილი აქციზი შეადგენდა 140.801 მან. 28 კაპ.

სხვა ფართლეულობის მოხმარების ნორმა შეადგენდა 0,9 არშ., მთელი სოფლის მოსახლეობის მოხმარება კი იქნება 1.783. 800 არშ. ვანგარიშობთ რა ამ სხვა ფართლეულობის აქციზის საშუალოდ 1.5 კაპ. მივიღებთ, რომ სხვა ფართლეულობის აქციზი იყო 26.745 მან. შალის და სხვა ქსოვილების მოხმარების ნორმა მუშებისათვის იყო 3 მეტრი. ჩვენ ვიღებთ ამ ნორმას მოსახლეობის სხვა ჯგუფებისათვისა, ვინაიდან 1924-25 წელში გავრცელებული იყო კონტრაბანდული ზალეულობის ხმარება და თამაშად შეიძლება ითქვას, რომ ქალაქის მოსახლეობის სხვა ნაწილების ნორმა დიდათ არ შეიძლებოდა აქ მოსკენებულ ნორმას. ვემყრებით რა ამ ნორმას, ვფიქრობთ, რომ ზალეულობის და სხვა ფართლეულობის მოხმარება ქალაქის მოსახლეობის მიერ შეადგენდა — 1.551.000 მეტრს. ერთი მეტრის აქციზი შეადგენდა 25,5 კაპეიკს და მთელი სააქციზო შემოსავალი კი 395.505 მ.

სელის მოხმარების ნორმათ ვღებულობთ 0,48 მეტრს. ქალაქის მთელი მოხმარება შეადგენს 258.000 მეტრს. მეტრის აქციზი შეადგენდა 1.5 კაპეიკს. სააქციზო შემოსავალი კი — 3.870 მანეს.

ეს ნორმები არ უნდა მოგეჩევენოს დიდათ. თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ 1924-1925 წელში წარმოება დიდი იყო და მოსახლეობა ინტენსიურად ფარავდა თავის საჭიროებას. ეს რიცხვები უფრო შემცირებულია, ვიდრე გადიდებული.

თუ ჩვენ შევაჯამებთ ყველა მიღებულ თანხებს, დავინახავთ, რომ მთელი შემოსავალი შეაღენდა:

| | |
|------------------|------------|
| აქციზი | 982 030 გ. |
| ჯარიმა | 2.861 გ. |

სულ 984.891 გ.

გალოშების აქციზი. 1924-25 წელში, სააქციზო უწყების ცნობებით, საქართველოში მოხმარებული იყო — 207.216 წყვილი, მოზრდილთათვის და 44.429 ბაზის გალოში. სააქციზო განაკვეთი შეაღენს 26 და 13 კაპ. ამ რიგად სააქციზო შემოსავალი უდრიდა:

| | |
|------------------|-----------|
| აქციზი | 59.652 გ. |
| ჯარიმა | 56 გ. |

სულ 59.708 გ.

ჩვენ განვიხილეთ ყველა აქციზ-დადებული საგნები. ჩვენ მიერ მოცემული ცნობები ზოგჯერ საესებით სწორია, ზოგჯერ მხოლოდ დაახლოვებით. ამ უკანასკნელში შეიძლება ზოგი გადიდებეს, ზოგი შემცირდეს შედარებით სინამდვილესთან, მაგრამ საერთო შემოსავალი ჩვენის აზრით იმდენად ახლოს სდგას სინამდვილესთან, რომ შეიძლება მასზე დამყარება. ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ აქციზდადებულ საგნების მოხმარება სართო სამუშაოები პირობების გამო, 1924-25 წელში კიდევ არ იფრებოდა საესებით. თუ დავადგებით შესაძლებელობის თვალსაზრისის, უნდა ვსოდეთ, რომ ეს შემოსავალი მცირე იყო.

მთელი სააქციზო შემოსავალი ამ რიგად შეაღენდა: 9.615.675 გ.

ბ) ბ ა ჟ ე ბ ი .

